დღეს, ისევე როგორც ადრე, ის-ტორიის შექმნის სიმძიმე ამერიკის, ჩვენი კოალიციისა და ჩვენი ერის მხრებზეა. ჩვენ შეგვიძლია ამ მისიის შესრულება, რადგან ვიცით, რომ კა-ცობრების მთელი ისტორიის მანძი-ლზე უმდიერეს ნებას თავისუფლები-სკენ სწრფავა წარმოადგენს და რომ იგი ჩვენს მხარეზეა.

პროექტი “სინიკატი” და საერთაშორისო ურთიერთობების საბჭო, 2004 წელი, ოქტომბერი.

წითალქისრიანები ინტელაქტუალების წინააღმდეგ

ყველაზე დაძაბული წინასაარჩევნო ბრძოლა ამერიკის თანამედროვე ისტორიაში

ირაკლი კაკაბაძე
ენა იორაჟიანი

წითელქისრიანებს (Red Neck) ამერიკაში დაბალი სოციალური წარმომადგენლების თეთრკანიან ამომრ-ჩევლებს უწოდებენ, ძირითადად წერლი, აგრარულ ბურჟუაზიასა და მათ მომსახურე პერსონალს უწოდებენ. ეს გამოითქმა გარკვეუ-ლიწილად სოციალურ სწიბიზმსა და ზედმეტად პატრიციულ დამოკი-დებულებას მოიცავს. რა თქმა უნ-და, ზემდგომ გენერაციზაციის გა-კეთება მოუღებელია და ყველა და-ბალი განაღლების მქონე ადამიან-ის წითელქისრიანად მონათვლა არ არის მართებული და არც ეთიკუ-რი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახის ელექტორატს მეტად ნარ-მატებულიად იყენებენ მემარჯვენე ტიპის დემოკრები, რომელთა რე-ლიგიური ფანტაზიში, ექსტრემის-ტული ფილოსოფია და ეკსტრემის გადაბრალება ებრაელებსა თუ შა-ვეზიანებზე არაფჯანსად ემოციებს აღძრავს. მე-19 საუკუნეში ასეთი ელექტორატი ძირითადად კონსე-რვატიული დემოკრატიული პარ-ტიის მომხრედ ითვლებოდა. მაშინ, როდესაც ამერიკის დიდმა რესპუ-ბლიკებმა პრეზიდენტმა მონტეს-მენსიზაციის პოლიტიკას დაუჭი-რა მხარი, სამხრეთელი დემოკრა-ტების, ანუ როგორც მათ უწოდებ-ენ, დექსიანტების კოალიცია მის წინააღმდეგ გამოვიდა, როგორც სამოქალაქო ომში, ასევე პოლიტი-კურ ასპარეზზე. თუმცა მაშინ რეს-პუბლიკელები ლიბერალები იყვნენ ჩრდილოეთის შტატებიდან, დემო-კრატები კი პირიქით - კონსერვა-ტორები სამხრეთის შტატებიდან. მე-20 საუკუნის დასაწყისში სიტუ-აცია შეიცვალა. პარტიებმა თითქ-ოს როლები გაცვალეს. დემოკრა-ტიულ პარტიას ჰყავდა ისეთი გა-მოჩენილი ლიბერალი პრეზიდენ-ტები ჩრდილოეთის შტატებიდან, როგორებიც იყვნენ **უდრო უილ-სონი** ნიუ ჯერსიდან, **ფრანკლინ დელანო რუზველტი** ნიუ იორკიდან და **ჯონ ფიცჯერალდ კენედი** მასაჩუსეტსიდან. მასაჩუსეტსის შტატს მე-20 საუკუნის ბოლოსათ-ვის უკვე მასაჩუსეტსის სოციალი-სტურ რესპუბლიკას უწოდებდნენ, იმის გამო რომ ის **კენედების** სამ-შობლო იყო და აგრეთვე წარმოშე-დგენილთა პალატის (ცნობილი სპი-კერისა, **ტიპ ო’ნილისა**. მასაჩუსე-

ტსია აგრეთვე სენატორ **ჯონ კერ-ის** სამშობლო და **პრეზიდენტი ბუ-შიც** არ უშვებს ხელიდან იმის შესა-ძლებლობას, რომ ამომრჩეველს შეასენოს, არ მისცენ ხმა “მასაჩუ-სეტსიდან ლიბერალს”. ამერიკულ საზოგადოებრივ ფარგონზე ლიბე-რალი მემარცხენის ადევკატია, კო-ნსერვატორი კი - მემარჯვენისა.

წითელქისრიანი ამომრჩეველი, მდიდარი ელიტის წარმომადგენლე-ბთან ერთად, რესპუბლიკური პარ-ტიის ამომრჩეველია. “დიდი ძველი პარტიის” (Grand Old Party) ათმოკ-რეველთა ბაზამ გასული საუკუნის განმავლობაში ჩრდილოეთიდან სა-მხრეთში გადაინაცვლა. სამხრეთის შტატებში, სადაც ამერიკის მორწ-მუნეთა და კონსერვატორთა უდი-დესი რაოდენობა ცხოვრობს, ამ ბო-ლო საერთო-ნაციონალურ არჩეე-ნებში ძირითადად რესპუბლიკური პარტიის კანდიდატებს უჭერენ მხარს. **ლინდონ ჯონსონის** პრეზი-დენტობის შემდეგ, რომელიც ტუხა-სელი დემოკრატ-დიქსიკრატი იყო, სამხრეთის შტატები უფრო და ფე-რ რესპუბლიკელებს აძლევენ ხმას. მიუხედავად იმისა, რომ **ჯიმი კარტერიცა** და **ბილ კლინტონიც** სამხრეთელები იყვნენ, მათი გაზარ-დულება შეუძლებელი იქნებოდა ნიუ იორკის, კალიფორნიის, მინესოტის, მიჩიგანის, მასაჩუსეტსის და მათა-დაგვარი ლიბერალური შტატების გარეშე. ვინაიდან ელექტორული ხმების დიდ რაოდენობას იღებენ კალიფორნიისა და ნიუ იორკის შტატები, ამ შტატებში გამარჯვება მეტად მნიშვნელოვანია დემოკრა-ტების წარმომადგენლებისათვის. ლიბერალ ინტელექტუალთა ყვე-ლაზე დიდი კონცენტრაცია სწო-რედ ამ შტატებშია. ეს ის ადგილებია, სადაც **ზობ დილანის, ჯერი გარსი-ას, ჯეკ კერუაკის, ტიმოთი ლირის** და სხვა რადიკალ მემარცხენე ხე-ლოვანების მექაა. ახლაც, ხელოვა-ნთა აბსოლუტური უმრავლესობა ლიბერალ კანდიდატ ჯონ კერის უჭერს მხარს. ერთ-ერთი ბოლო მხარდაჭერა, რომელიც მასაჩუსეტ-სელმა სენატორმა მიიღო, ცნობილი როკ მომღერლის **ბრუს სპირნგს-ტინისაგან** იყო. დემოკრატების მხარდამჭერებს შორის აქტიურია **ბარბარა სტრაიზანი**, **ჯეკ ნიკო-ლსონი, როჯერ შური, ვილი ნელ-სონი, კრის ქრისტოფერსონი** და ჰოლოვუდისა თუ როკ მუსიკის სხვა ვარსკვლავები. თუმცა, აქცე არის გამონაკლისები. ამერიკულ ხელო-ვანთა შორისაც არიან საკუთარი



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროექტი "ილია ჭავჭავაძე" აცხადებს კონკურსს ვეკანტურ თანამდებობაზე



**ინვესტორგანიზაციებსა და დაწესებულებებს
ინტერესის გამოხატვის წერილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის შესახებ
ინფორმაციის წარმოსადგენად**

შესავალი

საქართველოში კერძო დაფინანსება უზარმაზარი სექტორია, რომელიც განათლების ყველა საფეხურს მოიცავს და შორსმხავალი ეკონომიკური, სოციალური თუ საგანმანათლებლო შედეგები აქვს. კერძო დაფინანსება ჩრდილოვანი ქმედებაა, რომელიც სცდება კერძო სკოლის ლეგალური ფორმის ფარგლებს. განათლების მუშაკების მიერ სახელმწიფო სკოლებში კერძოდ სწავლების პრაქტიკა ამჟამად სოციალურ უთანასწორობას და ხელს უშლის საგანმანათლებლო პროცესს.

მსგავსი პარალელური განათლების ფორმას თავისი მიზეზები აქვს. მაგალითად, მასწავლებელთა დაბალი ხელფასები და არასათანადო მატერიალური ბაზა. კერძო დაფინანსების ზოგიერთი ასპექტი უკავშირდება განათლების სფეროში ჩრდილოვანი ეკონომიკის უფრო ზოგად პრობლემებს, როგორიცაა კორუფცია, ზოგადად, განათლების ხარისხი და საგანმანათლებლო ეთიკა.

მიუხედავად იმისა, რომ კერძო დაფინანსება უდიდეს გავლენას ახდენს განათლების სისტემაზე, ეს ფენომენი საქართველოში ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

იმისათვის, რომ განხორციელდეს ადეკვატური განათლების რეფორმა, მნიშვნელოვანია განათლების სისტემასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საკითხის საფუძვლიანი შესწავლა. ერთი ასეთი საკითხია კერძო დაფინანსება.

აღნიშნული ფენომენის გამოკვლევა დაეხმარება განათლების სისტემის რეფორმატორებს, გააცნობიერონ კერძო დაფინანსების ყველა დადებითი თუ უარყოფითი ასპექტი, რათა გაანეიტრალონ მისი ნეგატიური ზემოქმედება ხარისხიანი და თანასწორი განათლების უზრუნველყოფის საქმეში. ასევე, კერძო დაფინანსების შესწავლის შედეგად მიღებული გამოცდილება დაეხმარება მათ ამ პრობლემის გადასაწყვეტად სტრატეგიის შემუშავებაში.

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი ინვესტორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რათა წარმოადგინონ ინტერესის გამოხატვის წერილები და შესაბამისი ინფორმაცია შემდეგი საკმიანობის განსახორციელებლად:

კერძო დაფინანსების შესწავლა დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების სფეროში და მისი სოციალური, ეკონომიკური და ეთიკური ასპექტები საქართველოში

ძირითადი მიზნები

- სამართლებრივი ბაზისა და განათლების სისტემის ანალიზი და მისი კავშირი კერძო სწავლებასთან დაკავშირებულ ხარჯებთან - ზღვარის გავლება ლეგალურ და არალეგალურ ქმედებას შორის;

- განათლების სისტემაში კერძო დაფინანსების როლის განსაზღვრა;

- კერძო დაფინანსების ფენომენის შესწავლა, მისი კავშირი კორუფციასთან და საგანმანათლებლო ეთიკასთან;

- კერძო დაფინანსების ბაზრის ანალიზის საფუძველზე, მისი გავრცელების არეალის, მისი საჭიროების და მასზე მოთხოვნის განსაზღვრა;

- საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა კერძო დაფინანსებასთან მიმართებაში;

- მომხმარებელთა და მიმწოდებელთა მიზნობრივი ჯგუფების სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის განსაზღვრა;

- განათლების სისტემისათვის რეკომენდაციების შემუშავება მოცემული პრობლემის გადაწყვეტისა და, შესაბამისად, განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით.

შესასრულებელი სამუშაოები

- არსებული განათლების სისტემის სამართლებრივი ბაზის მიმოხილვა და ანალიზი;

- არსებული საგანმანათლებლო სექტორის კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავება და შეთანხმება კერძო დაფინანსების არსისა და მისი გავრცელების არეალის დასადგენად;

- საქართველოში ან მის საზღვრებს გარეთ შესრულებული ნებისმიერი მსგავსი კვლევის შედეგების გამოყენება;

- შეთანხმებული მეთოდოლოგიის მიხედვით საგანმანათლებლო სექტორში შერჩეულ წარმომადგენლობით ნიმუშებში კვლევის განხორციელება;

- კვლევის შედეგების ანალიზი და სტატისტიკური და აღწერილობითი ფორმით მისი წარდგენა;

- არსებულ საგანმანათლებლო სისტემაში კერძო დაფინანსების როლისა და მასთან დამოკიდებულების ანალიზი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროექტი "ილია ჭავჭავაძე" აცხადებს კონკურსს ვეკანტურ თანამდებობაზე



**საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწე
სატელევიზიო სარეკლამო რგოლების შექმნაში**

შესავალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის განხორციელებაში დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროექტის კოორდინაციას.

პროექტის ერთ-ერთი შემადგენელი ქვეკომპონენტია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (ქვეკომპონენტი C2). საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური შეიქმნა, რათა ხელი შეუწყოს განათლების სისტემის რეფორმის წარმატებით განხორციელებას დაინტერესებული მხარეებისათვის რეფორმის შესახებ ობიექტური და თანამიმდევრული ინფორმაციის მიწოდების, დადებითი და მხარდამჭერი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების გზით. საზოგადოებასთან ურთიერთობის ქვეკომპონენტს ესაჭიროება საკონსულტაციო მომსახურება.

სამუშაოს ზოგადი აღწერილობა

კონსულტანტმა უნდა შექმნას საქართველოს განათლების სისტემის რეფორმის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების ამსახველი სარეკლამო რგოლები. რეკლამები მიზნად ისახავს რეფორმატორული ინიციატივების პროპაგანდას და სამიზნე ჯგუფების მხარდაჭერის მოპოვებას. პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს საკომუნიკაციო კამპანიის მიზნებსა და სამიზნე ჯგუფების მოთხოვნას. რეკლამები უნდა იყოს შემოქმედებითი და, ამასთანავე, ითვალისწინებდეს ქართულ მენტალიტეტსა და ზოგად ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები

კონსულტანტმა უნდა შეიმუშაოს სცენარები და გადაიღოს სარეკლამო რგოლები. კონსულტანტმა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ასარჩევად უნდა წარუდგინოს 2-3 ნიმუში. ნიმუშები შემდგომი განხილვისთვის წარედგინება საბჭოს (საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, განათლების რეფორმის პროექტის სხვა ქვეკომპონენტები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სხვა წარმომადგენლები).

რეკლამები უნდა შეიქმნას სცენარის დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში. შერჩეულ ტელე-არხზე რეკლამის განთავსება და განთავსების დრო განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და ანაზღაურდება ცალკე.

რაოდენობა: 10 რეკლამა

ხანგრძლივობა: დაახლ. 60 წამი

სამიზნე აუდიტორია: განათლების მუშაკები, მასწავლებლები, მშობლები, სტუდენტები

მოსალოდნელი შედეგები

- ტექნიკური მოხსენება (მეთოდოლოგია, ნიმუშების შერჩევა, და ა.შ.) - გამოყენებული უნდა იყოს როგორც რაოდენობრივი ასევე ხარისხობრივი მიდგომა;

- კვლევითი საჭირო საშუალებები (კითხვარი, გზამკვლევი);

- კვლევის მონაცემთა ფაილი (SPSS ფორმატში);

- დასკვნითი მოხსენება (მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და ინტერპრეტაცია, ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები, და ა.შ.);

- საწყისი მოხსენება, რომელიც მოიცავს კვლევის განხორციელების გეგმას;

- შუალედური მოხსენება, რომელიც განსაზღვრავს კვლევის მეთოდოლოგიას და ნიმუშების შერჩევის გზებს;

- მოხსენება პროგრესის შესახებ, რომელშიც შევა კვლევის შედეგები;

- დასკვნითი მოხსენების პირველი და საბოლოო ვარიანტი, რომელიც მოიცავს ყველა სხვა აღწერილობით და ანალიტიკურ სამუშაოებს, მათ შორის: L მუშაობა სამართლებრივ ჩარჩოზე, ფენომენის ზოგადი ანალიზი და კერძო დაფინანსების როლი, რეალური/პოტენციური ბაზრის ანალიზი და ა.შ.

უზრუნველყოფილ უნდა იქნას კვლევის ყველა მონაწილის კონფიდენციალურობა. კვლევის ჯგუფს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ტექნიკური ბაზა, რათა ინფორმაცია და ანგარიშები იყოს დალუქული. ანონიმურობის უზრუნველსაყოფად კვლევის მონაწილეების სახელები უნდა იყოს კოდირებული. მონაწილეებს საშუალება უნდა მიეცეთ, ხელმოწერით დაადასტურონ კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობა.

კვალიფიკაცია

- მინიმუმ ორი წლის სამუშაო გამოცდილება საქართველოში;

- საქართველოს განათლების სისტემის საფუძვლიანი ცოდნა;

- მინიმუმ ერთი გამოქვეყნებული პროექტი განათლების კვლევის სფეროში (სავალდებულოა კვლევაზე დადებითი რეკომენდაციის წარდგენა);

- კვლევის ხელმძღვანელი, რომელსაც განხორციელებული აქვს მინიმუმ ორი კვლევა საქართველოში;

- შესაბამისი საკვლევი ჯგუფის ჩამოყალიბების უნარი.

ანგარიშვალდებულება

სამუშაოს დაწყებიდან 2 კვირის ვადაში წარდგენილი უნდა იყოს საწყისი მოხსენება. ამის შემდეგ, ერთი თვის ვადაში - შუალედური მოხსენება, შემდეგი თვე - მოხსენება პროგრესის შესახებ, მომდევნო ორი თვე - დასკვნითი მოხსენების პირველი ვარიანტი და ბოლო, მეექვსე თვე - დასკვნითი მოხსენება. დასკვნითი მოხსენება წარდგენილ უნდა იქნას ქართულ და ინგლისურ ენებზე როგორც ელექტრონული, ასევე ნაბეჭდი ფორმით. მოხსენებები უნდა წარედგინოს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორს.

დავლების ხანგრძლივობა

დავლების საფარაუდო ხანგრძლივობაა 6 (ექვსი) თვე.

გამარჯვებულის გამოსავლენად საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი იხელმძღვანელებს კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდით. ინტერესის გამოხატვის წერილები და სამუშაო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

0102 თბილისი. დიმიტრი უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.

ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**

ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net

საკონტაქტო პირი: ქ-ნი **სოფო გორგოძე**

განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 29 ოქტომბერი.

კვალიფიკაცია და მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში (განათლება, ჟურნალისტიკა, ურთიერთობები, სოციოლოგია და სხვა);

- ქართული ენის კარგი ცოდნა (როგორც სასაუბრო, ასევე წერილობითი);

- კომუნიკაციის კარგი უნარი;

- მინიმუმ სამი წლის სამუშაოს გამოცდილება ჟურნალისტიკასა და რეკლამერებაში (დიზაინი, პოლიგრაფია, გარე რეკლამა);

- გამოცდილება სარეკლამო რგოლების (მათ შორის სოციალურის) დამზადებაში;

- რეკლამირების დარგში საერთაშორისო გამოცდილება;

- შემოქმედებითად აზროვნების უნარი;

- კომპიუტერის ფლობა (Microsoft Office, Microsoft Excel, Microsoft PowerPoint, Photoshop).

ანგარიშვალდებულება

კონსულტანტი ანგარიშვალდებული იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობების ჯგუფის ხელმძღვანელი-სა და პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის წინაშე.

დასაქმების ხანგრძლივობა

ხელშეკრულების საფარაუდო ხანგრძლივობაა 4 თვე.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ, წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.

ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**

ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net

საკონტაქტო პირი: ქ-ნი **სოფო გორგოძე**

წარსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები შეგიძლიათ მიიღოთ ზემოთ მითითებულ მისამართზე.

განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 22 ოქტომბერი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი გაცნობავთ:

2004 წლის 4 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს პრეზიდენტის N437 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება "ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სტიპენდიების დანიშვნისა და სამეცნიერო მივლინებებისათვის თანხის გამოყოფის წესის შესახებ". პრეზიდენტის სტიპენდიები დაწესებულია სამი ხარისხის:

- პირველი ხარისხის - 250 ლარის ოდენობით თვეში, 40 წლის ასაკამდე მეცნიერებათა დოქტორებისათვის;

- მეორე ხარისხის - 200 ლარის ოდენობით თვეში, 35 წლის ასაკამდე მეცნიერებათა კანდიდატებისათვის;

- მესამე ხარისხის - 150 ლარის ოდენობით თვეში, 30 წლის ასაკამდე ასპირანტებისა და სამეცნიერ ხარისხის არმქონე მეცნიერ თანამშრომლებისათვის.

სამივლინებო თანხები გამოიყოფა მხოლოდ მოკლევადიანი მივლინებებისათვის (1 თვემდე ვადით).

განაცხადები მიიღება 2004 წლის 1 ნოემბრის საღამოს 18.30 საათამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტში. მისამართი: გამსახურდის გამზირი, N28, II სართული.

განაცხადები შეირჩევა საკონკურსო წესით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის დანაწესების განყოფილების უფროსს, ქალბატონ ეკა ლუჟავას, მისამართი: გამსახურდის გამზირი, N28, II სართული, ოთახიN38, ტელეფონი: 38-55-49.



ბოლო ათწლეულის მანძილზე ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ მთელი რიგი სააქციო საზოგადოებები უფუნქციო გახადა, რამაც დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა და აქციონერთა სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. ყოველივე ამას მოსდევს გაუთავებელი საჩივრების წერა სასამართლოში, პროკურატურასა და სხვა სამართალდამცავ ორგანოებში. ქვემოთ გთავაზობთ სააქციო საზოგადოებების, როგორც საწარმოს ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, დახასიათებასა და აქციონერთა უფლება-მოვალეობების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განმარტებას. ასევე, შევეხებით ისეთ აქტუალურ პრობლემას, როგორიცაა საწარმოთა, კერძოდ კი, სააქციო საზოგადოებათა გაკოტრებისა და მისი სამართლებრივი შედეგების საკითხი.

საბჭოთა პერიოდში სამეწარმეო საქმიანობას, ძირითადად, სახელმწიფო ახორციელებდა, ვინაიდან იგი წარმოების საშუალებების მესაკუთრე იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოც, გვემოური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდნენ. თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბება რთული ეკონომიკური პროცესების ერთობლიობაა, რომელიც სამართლებრივ მონესრავებას საჭიროებს. მენარმეობის თავისუფლებას განამტკიცებს კონსტიტუცია - სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. უფრო დანერგულებით მენარმეობის, ანუ სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები "მენარმეთა შესახებ" კანონშია მოწესრიგებული. იმისათვის, რომ მენარმემ სამეწარმეო საქმიანობა განახორციელოს, საჭიროა, რომ იგი გარკვეული ფორმით ჩამოყალიბდეს. კანონი "მენარმეთა შესახებ" იძლევა ამ ფორმების ამომწურავ ჩამონათვალს. რომლებ მათგანს აირჩევს პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებას აპირებს, თავად მასზეა დამოკიდებული. სამეწარმეო საქმიანობის ფორმებია: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი (რკ- რეგისტრირებული კოოპერატივი). მენარმე უნდა აირჩიოს ერთ-ერთი ამ ფორმებიდან, ვინაიდან ათვინებურად რაიმე სხვა ფორმის შემოღება კანონს ეწინააღმდეგება და ასეთ საწარმოს სასამართლო ან ადგილობრივი საგადასახადო ორგანო (ინდივიდუალური საწარმოს შემთხვევაში) რეგისტრაციაზე უარს ეტყვის. სამეწარმეო საქმიანობის დაწყება არ საჭიროებს რაიმე ნებართვას, მაგრამ ზოგიერთი სახის მენარმეობას, მაგალითად, ნიადაგზე მადნების მოპოვებას, ზეცხის გადაშუშებასა და ზოგიერთი სხვას, აუცილებლად სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან თანხმობა ნებართვის ან ლიცენზიის სახით.

რა პრინციპით უნდა მოხდეს საწარმოს ამა თუ იმ ფორმის შერჩევა, ანუ რის მიხედვით გადავიწყობთ პირმა, შპს-ს ფორმით ჩამოყალიბების საწარმო თუ სპს-დ, ეს დამოკიდებულია ფინანსურ შესაძლებლობებსა და მომავალი პასუხისმგებლობის სახისზე. ვინაიდან კომერციული საქმიანობა გარკვეულ ფინანსურ რისკთანაა დაკავშირებული, წინასწარ არავენ იცის, საწარმო მომგებიანი იქნება თუ ზარალიანი, ამიტომაც მენარმეს ამა თუ იმ ორგანიზაციული ფორმის არჩევის დროს საფრთხილ მართებთ. თუ პირს ან პირთა ჯგუფს სურს, დაფუძნოს სააქციო საზოგადოება, მან უნდა იცოდეს, რომ ამისათვის, საწესდებო კაპიტალის შესაცხადად, სულ ცოტა 15 000 ლარი დასჭირდება. სამაგიეროდ, თუ მომხმარებელს სააქციო საზოგადოება ზარალიანი იქნება, კრედიტორები დაკმაყოფილებიან სს ქონებიდან, ხოლო აქციონერთა პირად ქონებას (ავტომანქანა, სახლი, და ა.შ) ვერავინ შეეხება, ანუ იძულებითი წესით ეს ქონება არ გაიყიდება სს-ის ვალდების დასაფარავად.

შპს-ს დასაფუძნებლად საწესდებო კაპიტალისათვის უფრო ნაკლები თანხაა საჭირო - 2 000 ლარი. მსგავსად სააქციო საზოგადოებისა, შპს-ს პასუხისმგებლობაც, ვალეების შემთხვევაში, შემოფარგლდება საწესდებო კაპიტალით და არ ეხება მისი დამფუძნებლების პირად ქონებას.

სპს-ს აფუძნებენ ის პირები, რომლებიც ერთმანეთს ენდობიან (სულ ცოტა 2 ფიზიკური პირი მაინც), ვინაიდან, საჭიროების შემთხვევაში, ისინი ერთმანეთის ვალდებულებებზე სოლიდარულად - მთელი თავისი ქონებით აგებენ პასუხს. ამაზე მეტის გადახდას სხვა რაიმე ქონებიდან მას კრედიტორი ვერ მოსთხოვს; 2. კომპლემენტარები, რომლებიც, სპს-ს პარტნიორების მსგავსად, პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ მთელი თავისი ქონებით, მთელ ვალდებულებებზე.

სამეწარმეო საქმიანობა, თავისთავად, იმდენად მოგების მიღებას ისახავს, მაგრამ არაბოძებს ისეთ მენარმეებიც, რომლებიც უპირატესად საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნავენ, ვიდრე მოგების მიღებაზე და ამისათვის აფუძნებენ კოოპერატივს. კოოპერატივი არის წევრთა ბრძოთი საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დამკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოოპერატივს არა აქვს მოგების მიღების უფლება, მაგრამ მისთვის ეს პრობლემატიკა არ არის. მაგალითად, ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივი უნდა მოიპოვებდეს ნედლეულს საკუთარი წევრებისათვის. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წმარმოებელი და გადამამულებელი კოოპერატივები მიზნად ისახავენ წარმოებული პროდუქციის მოხმარებისა და რეალიზაციის გაზიარება მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და მათი შემოსავლების გადიდებას.

ინდივიდუალური საწარმოს დაფუძნებისათვის პირს არავისაა შეაბნავება არ სჭირდება. მას შეუძლია, დამოუკიდებლად დაფუძნოს და გაუშდეს ან საწარმოს. აქვე აღვნიშნავთ, რომ სავალდებულო საწესდებო კაპიტალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 10 წლისაა

რა უფლებაებით სარგებლობთ, თუ თქვენ რომელიმე საწარმოს აქციონერი ხართ

კანონით გათვალისწინებულია მხოლოდ შპს-სა და სს-სთვის. კოოპერატივისთვის დაწესებულია პაი, რომელიც წინასწარ განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ და ყოველი პაი უნაშთოდ უნდა იყოფოდეს 50-ზე.

ამჟერად, ჩვენი ინტერესის საგანია სააქციო საზოგადოება - ორგანიზაციული თვალსაზრისით საწარმოს ყველაზე რთული ფორმა. საქართველოში მრავალი საწარმო დაფუძნდა სააქციო საზოგადოების ფორმით. ძირითადად, ეს ეხება დიდ საწარმოებს, რომლებიც ადრე მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაში იყო. ასევე, სახაზინო საწარმოებს, რომლებიც 1999 წლის 1 სექტემბრამდე, სახელმწიფოს 100% ნილომრივი მონაწილეობით, შპს-ებად ან სს-ებად გარდაიქმნენ.

აქვე, აღვნიშნავთ, რომ საწარმო არის პირთა და ქონების ერთიანობა. იგი არის დამოუკიდებელი წარმონაქმნი, რომელიც არავის საკუთრებას არ წარმოადგენს, მათ შორის, არც სახელმწიფოს, თუნდაც სახელმწიფო იყოს მისი ერთადერთი დამფუძნებელი 100%-იანი ნილომრივი მონაწილეობით. ნებისმიერი პირი, მათ შორის, სახელმწიფოც, არის არა სააქციო საზოგადოების მესაკუთრე, არამედ აქციის სახით ამ საწარმოს წილის მფლობელი, ვიქვით 20%, 30%, 100% -ის. ამდენად, საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპი, რომ ესა თუ ის საწარმო ვინმეს საკუთრებაა და შესაძლებელია საწარმოს ჩვეულებრივი ნივთივით განკარგვა, მცდარია. საწარმოს წილის, აქციისა თუ პაის მფლობელობა კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს წარმოადგენს ამ საწარმოს, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის მიმართ და არა საწარმოზე.

რა არის სააქციო საზოგადოება?

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალიც დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად. სს-ს საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 15 000 ლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მის რეგისტრაციას არ მოახდენს. თუმცა, შესაძლოა, საწესდებო კაპიტალი იყოს გაცილებით მეტი, ზედა ზღვარი ამ მხრივ არ არსებობს. საწესდებო კაპიტალში არ იგულისხმება მხოლოდ ფულადი თანხა, რომელიც საბანკო ანგარიშზე დევს, ვინაიდან საწესდებო კაპიტალი შეიძლება შეიქნას როგორც ფულადი, ისე არაფულადი შესატანით. მთელი ეს საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების აქციებად. ნომინალური ღირებულება არის აქციის ის ღირებულება, რომლითაც მოხდა მისი გაცემა და დარეგისტრირდა საზოგადოების წიგნში. 1999 წლის 9 ივნისამდე ერთი აქციის ნომინალი იყო 1 ლარი ან მისი მრავალჯერადი. 1999 წლის 1 სექტემბრიდან დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებებში აქციის ნომინალს თავად სააქციო საზოგადოება განსაზღვრავს. აქციას, ასევე, გააჩნია საბაზრო ღირებულება, რომელიც ნომინალურისაგან განსხვავდება და რბოლის განსაზღვრაზეც გავლენას ეკონომიკური და სხვა ფაქტორები ახდენს. პრინციპი ერთია - რაც უფრო მომგებიანია საწარმო, მით მეტია მისი აქციების საბაზრო ფასი. საზოგადოების აქციონერები სს-ს ვალდებისათვის პასუხს არ აგებენ. პასუხისმგებელი ამ დროს არის თავად სააქციო საზოგადოება მთელი თავისი ქონებით, საწესდებო კაპიტალის ჩათვლით.

რას წარმოადგენს აქცია?

აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადსტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს აქციონერის მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში.

აქცია, პირველ ყოვლისა, გამოხატავს საწესდებო კაპიტალის რაოდენობას, ვინაიდან ყველა აქციის ნომინალური ღირებულებების ჯამი უდრის საწესდებო კაპიტალს მთლიანად. ის, რომ თქვენ ხართ აქციის ან აქციათა პაკეტის მფლობელი, ნიშნავს იმას, რომ წარმოადგენთ სააქციო საზოგადოების წევრს და, აქედან გამომდინარე, გაქვთ უფლება-მოვალეობანი. სავალდებულო არაა, რომ მონაწილეობდეთ საზოგადოების მართვაში, შეგიძლიათ შინ მშვიდად იჯდეთ და დაელოდით დივიდენდებს, რომელსაც, საწარმოს მომგებიანი მუშაობის შემთხვევაში, თქვენზე აქცია მოგიტანს. ხოლო თუ გასურთ, მონაწილეობდეთ საწარმოს მართვაში, ეს თქვენი უფლებაა არ გააჩნია და, შესაბამისად, სააქციო საზოგადოების მართვაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. სამაგიეროდ, პროვილეგირებული აქციის მფლობელი, ჩვეულებრივ აქციონერებთან შედარებით, დივიდენდის მიღების უპირატესი უფლება აქვს.

როგორ უნდა მოითხოვო აქციონერმა აქციაზე საკუთრების უფლება?

აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეგისტრში ჩანაწერთი ან კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმით. კანონის შესაბამისად, აქციონერს უნდა მიეცეს აქციათა სერტიფიკატი ან ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეგისტრიდან. აქციათა რეგისტრს შეიძლება აწარმოებდეს თავად სააქციო საზოგადოება ან დამოუკიდებელი რეგისტრატორი. საზოგადოება, რომელსაც 100-მდე აქციონერი ჰყავს და რომლის აქციებიც არაა გატანილი საფონდო ბირჟაზე საჯარო ვაჭრობისათვის (ე.წ. დახურული ტიპის საზოგადოება) შესაძლოა, აწარმოებდეს აქციათა რეგისტრს თავად, ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით. კანონით ორივე წესია დაშვებული. ხოლო სააქციო საზოგადოებას, რომელსაც ჰყავს 100-ზე მეტი აქციონერი ან/და მისი აქციები თავისუფლად იყიდება საფონდო ბირჟაზე (ღია ტიპის სააქციო საზოგადოება), კანონის მოთხოვნით, ვალდებულია, დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით აწარმოოს აქციათა რეგისტრაცია. შესაბამისად, თუ ხართ აქციონერი, აქციაზე საკუთრების დამდასტურებელი დოკუმენტის მისაღებად უნდა მიაკითხოთ ან თავად სააქციო საზოგადოებას, ან დამოუკიდებელ რეგისტრატორს, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს აქციათა რეგისტრს.

როგორ გავსახვისით (გაყვიდით,

გავარქვითი აქცია?

ამისათვის სხვადასხვაგვარი პროცედურებია დადგენილი. დახურული ტიპის სააქციო საზოგადოების აქციონერს შეუძლია, გაასხვისოს თავისი წილი დათმობის ხელშეკრულებით, რომელიც ნოტარიუსის მიერ უნდა იყოს დამოწმებული. ამისათვის ნოტარიუსს უნდა წარუდგინოთ ამონაწერი აქციათა რეგისტრიდან. ამის შემდეგ აუცილებელია ახალი აქციონერის დარეგისტრირება საზოგადოების აქციათა წიგნში. იმ შემთხვევაში, როცა აქცია სერტიფიკატის ფორმითაა გაცემული, აქციის გადაცემა უფრო მარტივია. სერტიფიკატის მეორე მხარეს კეთდება წარწერა (ინდოსამენტი), რომლითაც დასტურდება აქციის ყოველი ახალი მფლობელის ვინაობა. თუ თქვენ ხართ აქციათა სერტიფიკატის მფლობელი და ასხვისებთ მას, შემქმნთან ერთად მიბრძანდებით სააქციო საზოგადოებაში, სერტიფიკატის მეორე მხარეს გააკეთებთ ინდოსამენტს ახალი მფლობელის მითითებით და იგი თქვენს მაგივრად დარეგისტრირდება აქციათა რეგისტრში. ამ ცვლილებას რეგსტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი დაამოწმებს და ამისათვის ნოტარიუსთან წასვლა საჭირო აღარა არის. აქციის დათმობის ხელშეკრულებით გაასხვისებთ თუ ინდოსამენტით, ეს თქვენს არჩევანზე არაა დამოკიდებული, ვინაიდან, შესაძლოა, სააქციო საზოგადოება საერთოდ არ გასცემდეს სერტიფიკატს და, საჭიროების შემთხვევაში, იძლეოდეს რეგსტრიდან ამონაწერს. ამონაწერზე, ცხადია, ინდოსირებას ვერ განახორციელებთ, ამიტომ მიდინარე ნოტარიუსთან და აფორმებთ დათმობის ხელშეკრულებას, ხოლო თუ სააქციო საზოგადოება სერტიფიკატს გასცემს თქვენს სახელზე, მეორე მხარეს წარწერის გაკეთებითა და სერტიფიკატის ფიზიკურად ახალი მფლობელისათვის გადაცემით მოგვარდება გასხვისების საკითხი. ამასთან, ახალი მფლობელი უნდა დარეგისტრირდეს აქციათა რეგისტრში. თუ ხართ ღია ტიპის სააქციო საზოგადოების აქციონერი და აქციათა გაყიდვა გინდათ, თუ აქციები დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, მაშინ გაასხვისებთ ბირჟაზე თავისუფლად მოგების წესით, ხოლო თუ არაა დაშვებული ბირჟაზე, მაშინ უნდა მიმართოთ ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიას. ზოგჯერ აქციის გასხვისებისათვის საზოგადოების თანხმობაა საჭირო. ამგვარ აქციებს ვინკულურებული აქციები ეწოდება.

რა უფლება-მოვალეობები აქვთ აქციონერებს?

აქციონერის ერთადერთი მოვალეობაა, შეიტანოს შეატანი კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად. რაც შეეხება აქციონერთა უფლებებს, საზოგადოდ, მათ გააჩნიათ: 1. ქონებრივი უფლებები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია დივიდენდის (მოგების წილის) მიღების უფლება. დივიდენდების განაწილება მაშინაა შესაძლებელი, როდესაც საწარმოს საქმიანობა მომგებიანია. 2. საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლებები (ზმის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, კონტროლის უფლება, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის, ასევე, საერთო კრების გადწვევტილების გასაჩივრების უფლება), რომლებიც საერთო კრებაზე ხორციელდება.

აქ პრობლემური და მეტად მნიშვნელოვანია უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებების დაცვა (ე.ი. იმ აქციონერებისა, რომლებიც ფლობენ საწესდებო კაპიტალის 5 %-ს ან ამაზე ნაკლები რაოდენობის აქციებს). ამიტომაც, ან საკიოზე დაწერილობით შეგარეგნობით. როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება აქვს ყველას, მიუხედავად იმისა, დიდი რაოდენობის აქციებს ფლობს თუ უმცირესობაში იმყოფება. ცხადია, გადაწვევტილების მიღება ხდება უზრავლესობის მიერ, მაგრამ არსებობს გარკვეული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს უმცირესობაში მყოფი აქციონერების ინტერესების დაცვას. პრაქტიკაში ამ საკითხთან თავი იჩინა იმ სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებაში, რომელთა პრივატიზება (სახელმწიფო ქონების ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში გადასვლა) მოხდა და ისინი სააქციო საზოგადოებების ფორმით ჩამოყალიბდნენ. ამგვარი საწარმოების მუშაკთა ინტერესების დაცვის მიზნით, პრივატიზების შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ, მყიდველის მიერ საკუთრების უფლების შექმნაზე საკუთრელოს ეკონომისტის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე იკრძალება საწარმოს რეორგანიზება ან ლიკვიდაცია, მტატების შემცირება ან გაზრდა, საწარმოს ქონების გაყიდვა, გაცვლა, ქირით ან იჯარით გაცემა, დაგირავება. საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მომენტისათვის მუშაკებს უსახიფდლოდ ეთრდებოდათ გადაცემითა მთლიანი საწესდებო კაპიტალის 10%-მდე აქციები, მაგრამ არა უმეტესს საქართველოში არსებულ მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობისა ერთ მუშაკზე გაანაწილებად. აღნიშნული უფავათი ეხებათ: იმ მუშაკებს, რომლებისთვისაც საწარმო წარმოადგენს ძირითად საშუალო ადგილს, იმ პირებს, რომლებიც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვთ, დაბრუნდნენ ამ საწარმოში, პენსიით წერებას, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ ან საწარმოდან არახალკვან წილის მუშაობის შემდეგ, იმ პირებს, რომლებიც ან საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნებამდე 1 წლით ადრე შეამცირეს და რეგისტრირებული არიან როგორც უმუშევრები. პირთა ზემოაღნიშნული კატეგორია თავისდაუნებურად გახდა აქციების მფლობელი და აღმოჩნდა უმცირესობაში, ვინაიდან, ეს 10 % დანაწილდა მათ შორის და თითოეულს ერგო აქციების გაცილებით ნაკლები პროცენტული რაოდენობა.. მათ საყურადღებოდ აღსანიშნავია შემდეგი:

აქციონერს უფლება აქვს, საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა. მაგალითად: როდესაც საერთო კრებაზე მოხდა წესდებამი ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს და ასეთ ცვლილებას აქციონერმა მხარი არ დაუჭირა; ანდა, საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება შერწყმის, გაყიდვის, გარდაქმნის თაობაზე, რასაც უმცირესობაში მყოფი აქციონერის დათმობა. ასევე, ისეთ შემთხვევაში, როდესაც აქციონერი არ დაეთანხმა საერთო კრების გადაწყვეტილებას საზოგადოების ქონების შექმნის, გასხვისების, ან გაცვლის გარეგნების შესახებ. ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში ყველა შემთხვევაში არ ანიჭებს აქციონერს უფლებას, მოთხო-

ვოს აქციათა გამოსყიდვა. აქციონერი ვერ მოსთხოვს სააქციო საზოგადოებას აქციათა შეფასებასა და გამოსყიდვას, თუ მას სრულად არ დაუფარავს ამ აქციების შესაბამისი შესატყვისი, ან თუ აქციონერმა ეს აქციები შეიძინა მას შემდეგ, რაც კანონით დადგენილი წესით აქციონერებს დაევ ზავნათ შეტყობინება საერთო კრების მოწვევის შესახებ.

საწესდებო კაპიტალის 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს. ამგვარი მოთხოვნით აქციონერები მიმართავენ საერთო კრებას. თუ საერთო კრება არ დაკმაყოფილებს მათ მოთხოვნას, მაშინ გადაწყვეტილება სპეციალური შემოწმების ჩამოღების შესახებ შეიძლება მიიღოს იმ სასამართლომ, რომლის ტერიტორიაზეც აქვს საზოგადოებას ადგილობრივ-ყოფილი. ამრიგად, უმცირესობაში მყოფი აქციონერები-სათვის გარანტირებულია საზოგადოების საქმიანობაზე კონტროლის უფლება. ამასთან, მათ აქვთ რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლება.

კრების მოწვევა გამართლებული და აუცილებელი უნდა იყოს. რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნა წერილობით წარედგინებათ სააქციო საზოგადოების დირექტორებს, ხოლო ისინი მოვალენი არიან, დაწინშონ საერთო კრება მოთხოვნიდან 20 დღის განმავლობაში. თუ დირექტორები კრებას არ დაწინშევენ, აქციონერებს შეუძლიათ, კრების მოწვევის მოთხოვნით მიმართონ სასამართლოს.

რა უფლებები აქვთ აქციონერებს საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში?

ლიკვიდაცია არის პროცესი, რომელიც შეიძლება მოხდეს, თუ ამას ითვალისწინებს წესდება და თუ ამას გადაწყვეტენ 50%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელები. ლიკვიდაციის შემდეგ საზოგადოების ქონება ნაწილდება აქციონერთა შორის მათი წილის შესაბამისად, ოღონდ მას შემდეგ, რაც დაიფარება საზოგადოების ვალდებ. განახილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი წლის გავსლის შემდეგ იმ დღიდან, როცა მოვალეები მესამედ გააფრთხილეს გაზეთით ცნობის გამოქვეყნებით იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს საზოგადოების ლიკვიდაცია.

სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებენ დირექტორები. სასამართლოს, თუ არსებობს საამისოდ მნიშვნელოვანი საფუძველი, შეუძლია დაწინშოს ლიკვიდაცირად გარეშე პირიც. ლიკვიდაცირება დაწინშვის თანავე უნდა შეადგინონ ბალანსი. მათ უნდა აცნობონ კრედიტორებს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ და მოინებონ პრეტენზიების განცხადებისათვის, დაბმარეონ იმ მიმდინარე საქმეები, მოახდინონ აქტივების რეალიზაცია. თუ დადგინდება დავალიანება, ლიკვიდაცირება უნდა აცნობოს სასამართლოს, რომელიც აღძრავს გაკოტრების საქმეს ე.ი. გაკოტრების პროცესი იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ დავალიანება დადგინდება. თუ საწარმო გადახდისუფნარო ვალდება, ხელმძღვანელმა ბრალეული გააქთანურების გარეშე უნდა განაცხადოს სასამართლოში გაკოტრების წარმოების გახსნას შესახებ. ეს წესი გამოიყენება ზედავალიანების შემთხვევაშიც. ბრალეულ გაჭიანურებად ან მიიჩნება, თუ ხელმძღვანელი პირები გაკოტრების საქმის წარმოების გახსნას ეჭრობიან კუთლისინდიცირად, რაც საწარმოს ინტერესებს უკავშირდება (შენიშვნა: გადახდისუფნარობა ნიშნავს იმას, რომ მოვალეს არ შეუძლია, შესაწიროს ვადაშოსული ვალდებულების ვალდებულებები, ხოლო ზედავალიანება მაშინაა სახეზე, როდესაც საწარმოს აქტივები, ანუ ქონება, ვეღარ ფარავს პასივს, ანუ მის ვალდებულებებს). იმისათვის, რომ გაკოტრების პროცესი დაიწყოს, სახეზე უნდა იყოს ან საწარმოს გადახდისუფნარობა, ან ზედავალიანება, ანდა მოხალოდნეული გადახდისუფნარობა.

გაკოტრების პროცესი საკმაოდ რთულია და, უმეტესად, დროში გახანგრძლივდება. იგი შეიძლება წლითი გაგრძელდეს. სასამართლო გაკოტრების მმართველად ისეთ პირს ნიშნავს, რომელიც დამოუკიდებელია, ე. ი. სასამარტრებოდაც ან/და ნათესაურად თუ სხვაგვარად არაა დაკავშირებული ვალაუვალ მოვალესთან და კრედიტორთან. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან გაკოტრებული საწარმოს ქონების განახილება ობიექტურად უნდა განხორციელდეს. კანონი ადგენს ჩამონათვალს, თუ პირველ რიგში რომელი მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს. დაინიშნება რა გაკოტრების მმართველი, იგი იმ ქონების აღწერას იწყებს, რომელიც გააჩნია საწარმოს, ადგენს ბალანსს და აღნიშნულ დოკუმენტებს წარუდგენს შესაბამის სასამართლოს. სასამართლო ადგენს გაკოტრების ტაბულას. გაკოტრების ტაბულა არის ცხრილი, რომლითაც განისაზღვრება მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგითობა. პირველ რიგში, გაისტუმრება სამი თვის სახელფასო დავალიანება, საქმის წარმოების გახსნამდე გადასახადი გადახდავლები, დაზღვევის, საპენსიო, სამედიცინო ფონდებისა და უმუშევრობის დაზღვევის მოთხოვნები. ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა მას შემდეგ დაკმაყოფილება, რაც წინა რიგის მოთხოვნა იქნება გასტუმრებული. გაკოტრების მმართველმა სასამართლოს თანხმობით, ასევე, უნდა გადაიხადოს ვალაუვალ მოვალის ოჯახის წევრებისა და მისი პაჟოფაზე მყოფი პირებისათვის მინიმალურად აუცილებელი შესაწახი თანხა, ქონების მართვის ხარჯები, სასამართლოს ხარჯები, მიიღოს თავისი კუთვნილი გასამრჯელო. მხოლოდ ამის შემდეგ, გაკოტრების მასაში თუ კიდევ დარჩება რაიმე ქონება, იგი აქციონერებს შორის განაწილდება. გადახდისუფნარო საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში, კიდევ სავარაუდოა, რომ გაკოტრების ტაბულის მიხედვით ქონების განაწილების შემდეგ აქციონერებსაც რაიმე შეხედვით, მაგრამ როდესაც ზედავალიანების შემთხვევა გვაქვს (ე.ი. როდესაც ვალი ქონებაზე მეტია), გაკოტრების მასაში, ფაქტობრივად, თანხები აღარ რჩება. სასამართლო, დადგენილების სახით, იღებს გადაწყვეტილებას გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრების შესახებ. ამის შემდეგ საწარმო სამეწარმეო რეგისტრიდან ამოიშლება და საამართალბრუნედან გარქმეა, ხოლო აქციონერებს რეალურად აღარაფერი რჩებათ.



სწოგილი
პოატი
სწოვრახის
უწწოგი
ფაქტაბი



დამარსწახული,
მაბრამ
იბაღიანი



კათოლიკური
რეფორმაციის
ომაბი



B3

B4

B6

სანდრა ელისაბად რულოვსი

სტუმარ-მასწინდლობა ყვაილების ქვეყანაში

A1 ბაჰარიღაზ

რა თქმა უნდა, ჯგუფი და "მულტ-რაშიფის" კატარლის ეკიპაჟი ვლისინ-ხენის სანაპიროზე უსაფრთხოოდ, თუმცა ემოციებით ანთებული გადაბარგდა. წინ საპორტო ცხოვრების თვალსაჩინო ნაწილი - იაბტკლუბური საღამოა, ყველა სხვა შემთხვევაშიც, სანდრას შუბეერდის ადგილი საგულდაგულოდ აქვს შერჩეული. ეს ქართული დელეგაციის პოლანდიაში სტუმრობის მეორე დღე იყო და ძალიან გამორჩეოდა დანარჩენი ოთხისგან.

სტუმრობა უბრალო არ იყო და ის მთლიანად საქმიან ელფერს ატარებდა. სანდრა ელისაბად რულოვსის პატრონაჟითა და შუამდგომლობით, ფოთის პორტი პოლანდიის მასშტაბებით კომსამე "ზოსკალისთან", რომელიც პოლანდიის მთავრობის მიერ გამოყოფილი 15,3 მილიონი ევროთი ფოთის სანაპიროზე საბოლოოდ მოხსნის ნაპირის, ე.წ. მოლოს, პროლემას. ეს მართლაც ის შემთხვევაა, როცა სასარგებლო ბოლომდე გაუქრებულია სასაზოგოოთი. სტუმარ-მასწინდელის მემპატრონეებს არაერთხელ აღგვიზიზნავს, რაოდენ ღვთისაა სტუმარი, მაგრამ არც ისე ყოფილა საქმე, რომ მართკო ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადი.

ტერნოიზენი პოლანდიის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. ის პატარა, მყუდრო და მჭიდრო ქალაქია, სადაც უსაქმოდ არაფერია დადის. ჭიანჭველები ს ბუდე. დაუღალავი შრომის დამლა აქ ყველა კუთხეს ადევს. საქართველოს პირველი ლედი, სანდრა ელისაბად რულოვსი აქ გაიზარდა. ტერნოიზენის ქუჩებში სანდრა ეამყებათ. მასთან დამოკიდებულება ისეთივე უშუალოა, როგორც ყოველთვის, მაგრამ პატივისცემა - უსაზღვრო. რულოვსების ოჯახი ამას იმისაჟერებს.

- ბოღიში, თვითმფრინავში ნუ გახსნიან ბოთლს, თუ ისურვებთ, თავად მოავლეთ იმ ღვინოს, რომელსაც სპეციალურად მგზავრებისთვის "ურზრუნელყოფს ავიაკომპანია KLM!.. მაპატიეთ, ეს ღვინო საიდან გაქვთ?

- ტერნოიზენის მერის საჩუქარია. - მაპატიეთ, მინდოდა მეკიოხა, რომ ამ ქალაქში იყავით თუ არა? მეც ამ მხარეიდან ვარ და ძალიან მემყება, რომ თქვენი პირველი ლედი ტერნოიზენიდან არის წარმომობით. - ძალიან კარგი, ნუ იღვლეებთ, უბრალოდ, საჩუქარია და ის ჩვენთვის ძალიან ძვირფასია.

KLM-ის სტიუარდესა ისედაც ცაში იყო და შესაბამისად სიხარულით უფრო მაღლა ეღვარ გაფრინდებოდა. ქართველს კი, მართლაც, ვერ გააკვირვებ ღვინით და ეს სანდრასაც მშვენიერად განუმარტავს მეგობრებისთვის. ნებისმიერ საღამოზე ერთი სალაპარაკო თემა ქართული ჯაზის წვენი ყოველთვის იყო. უბრალოდ, თავად სანდრა რულოვსი იქცა სიურპრიზად და გურჯებსაც დიდი დრო აღარ გვრჩებოდა ტრადიციული თვითხოტბისთვის. სწორედ მაშინ, როცა პოლანდიური ჯენივასა და ფრანგული კაბერნეს გარდღუსით გაბრუებულებს "ქართული მოგანავა", ტერნოიზენის უძველეს რესტორანში "თბილისი" გაისმა. ფორტეპიანოს სანდრა მიუჯდა. ესეც გადასარეგად უსაველია, რომ აღარფერი ვთქვა ჩემსა და მას შორის გამართულ "ჭიჭე" მეგრულ დიალოგზე. ლინგვისტია. იცის მშობლიური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, ქართული, რუსული და რა გამოიღვეს.

მიუხედავად იმისა, რომ რულოვსების თავიკი ეღუარდი, კარგა ხანია, საკმაოდ სოლიდურ ბიზნესს, ბიზათმუნებლობასა და უძრავ ქონებას

მართავს, უბრალოება და უშუალოება ყოველ მიმიკაზე ეტყობა. რულოვსები ტრადიციების ოჯახია. მგზავრობით დალილმა ქართველებმა სასტუმროში მისვლისას შევნიშნეთ რაღაც უცნაური - სასტუმროსათვის უცხო.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ტერნოიზენში!
ედუარდ და მაგდალენა რულოვსი
6 ოქტომბერი 2004 წელი

ტექსტი პოლანდიური ყვაილეების ბოლქვებით სავსე კოლოფებს ამშვენებდა. არც დარგვისა და მოვლის ინსტრუქციების გაცემა დაზარებია ვინმეს. ხალასი და უშუალო ცხოვრების ნესი რულოვსების ოჯახსაც ეტობა. მყუდრო, კომფორტული და კომპაქტური ბინა, ერთი მხრივ, ზღვის, მეორე მხრივ კი, სკვერის ხედით არაფრით არ ქმნის პოპმეზურობის განცდას და არ გაფიქრებინებს, რომ აქ ქვეყნის პრეზიდენტი დაბაიჯებს ხოლმე. ყოველი დეტალი გემოვნებით არის საერთო გაბამი მოქცეული და ერთობ სასიამვნოა, რომ ამ პალიტრას, კერძოდ ჟურნალის მაგიდას, "24 საათის" ნარინჯის ფერიც ამშვენებს, თანაც როგორც ოჯახში ამბობენ - მუდმივად.

არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ყველა კუთხე ყვაილით ან დეკორატიული ხით არის მორთული. ისე კი, საინტერესოს პირველი ლედის ოჯახში ადამიანი, განსაკუთრებით ჟურნალისტი, ყოველთვის მოძებნის და ამ შემთხვევაში ყურადღების ცენტრში ედუარდ სააკაშვილის ტილოები მოექცა. მარჯვნივ შავ პიჯაკში ჩაცმული მამა და მკაცრი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მარცხნივ კი ვარდებიან სამოსში გამოწყობილი დედა და საქართველოს გეოგრაფიული ფორმის კოლიეტი გულდამშვენებული საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბად რულოვსი.

ამ კოლიეს სანდრა მუდამ ატარებს და ყოველთვის, როცა ამბობს - "ჩვენ ეს გვჭირდება", "ჩვენს ქვეყანას ეს გამოადგება", "ჩვენი ხალხი ამას იმსახურებს" - ნიშნავს, რომ საუბარი ეხება საქართველოს და ქართველებს. რა თქმა უნდა, სამშობლო ყველაფერს ურჩევნია, მაგრამ რეალობის შეგრძნებას არაფრით არ კარგავს. აშკარად მზრუნველი ადამიანია, ისევე როგორც მისი მშობლები.

მეტოც, ისეთი შთაბეჭდილება შემიქმნა, რომ ყველგან, სადაც გაიარა, საქართველოზე იზრუნა. დანამდვილებით ვიცი, რომ კომპანია "მულტ-რაშიფს" თბილისის დამწვრობის ცენტრისთვის ხუთი ათასი ევროს გამოყოფა დაგეგმილი სულაც არ ჰქონდა. გამომდინარე იქიდან, რომ პორტში ხანძარსანინაღდგო სწავლებასა და ნორმებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, საპორტო საქმიანობის ერთ-ერთი ლიდერის "მულტრაშიფისა" და რულოვსის საუბარი, რომ თანხა სწორედ დამწვრობის ცენტრში წასულიყო, დიდ ხანს არ გაგრძელებულია. "თბილისში დაბრუნებისთანავე ამ თანხას საჭიროებისამერ მივმართავთ", - ამბობს სანდრა რულოვსი.

რულოვსების ბინა და საერთოდ ცხოვრება პოლანდიური მონყობის ზუსტი ანარეკლია. ეს არის ერთდროულად თანამედროვე და უძველესი ქვეყანა. თუკი როტერდამი არასდროს იბინებს და მისი ინდუსტრიულ-მოღერისტული განლაგება 21-ე საუკუნით არის გაჯერებული, ამსტერდამი წმიდება წყლის ევროპაა - რიკულები, კოშკურები, სასახლეები, ლამაზიონები, რატუშები, მცირე კაფეები და, რა თქმა უნდა, გან გოგი. რეი ჩარლზისგან განსხვავებით, რომელიც მთელი ცხოვრება ჯორჯიაზე მღეროდა და მხოლოდ ათობით წლის შემდეგ მიხვდა, რომ სხვა ქვეყანასაც შეჰღალადე-



ბდა, ჩვენ პოლანდია ვიცით. ამავე დროს, ვეთანხმებით იმასაც, რომ სიმღერა ყვაილების ქვეყნის შესახებ პოლანდიას, მართლაც, შეეფერება. ამ სილამაზის აღწერისა და სიტყვებით გამოცემის უფლება მხოლოდ მწერალს აქვს და თავს არ შეგანყენო. მხოლოდ იმას ვისურვებ, ყველა ქართველისთვის იოლად შესაძლებელი იყოს პოლანდიის სტუმრობა და ამ მშვენიერით ტკბობა.

რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს განსაკუთრებული ელფერი ენიჭება, თუ ქვეყნის პირველი ლედი არ დაიზარებს და გილობას მოისურვებს, როგორც ქალაქის ქუჩებში, ისე მუზეუმში, ან სხვა ღირსშესანიშნავ წერტილში. ერთი ნუთით არ გაჩერებულა... სტუმართმოყვარეობა მისი გვარის დიდი სიმდიდრეა.

რულოვსებშიც, ისევე როგორც ზევით ვთქვით, მთელ პოლანდიაში, ერთდროულად გამშვიდებს ულტრათანამედროვე დინამიის ინტერიერი და ძველებური აქსესუარები. ეს არ არის უფრო ან უგემოვნო განლაგება. დისასხლისობაში მაგდალენა რულოვსს ბადალი არ ჰყავს, თუმცა, როგორც ამბობენ, ნაკლები ნიჭით არც მისი ქალიშვილი გამოირჩევა და ამის შემწვევა არც ისე რთულია. პოლანდიაში მთავარი თევზია და როცა იქ მოხვდებით, არც იმან გაგაკვიროთ, თუ ქუჩაში, თევზის მაღაზიასთან სანდრა რულოვსი დინახოთ, რომელიც ე.წ. ცოცხალს პირდაპირ, ხელით მიირთმევს. ეს ნიდერლანდური ცხოვრების ერთ-ერთი ატრიბუტია და არასდროს იფიქროთ, რომ ასეთი ალაგს თევზის ხელით მიირთმევა სირცხვილია. პირიქით, თქვენ პატივს ეცით მასწინდლის ტრადიციას.

ამას რომ თავი დავანებოთ, აუცილებლობას წარმოადგენს ველისიპედი. პირველი ლედი საიმოვნებით საუბრობდა იმაზე, რომ პოლანდიაში ველოსიპედის ტრასების საერთო სიგრძე 40 ათას კილომეტრს შეადგენს. ხოლო იმას, რომ ისეთი სტრადევი ყველა სამანქანო გზას გაჰყვება, გამორჩეული სახით ახსნა სულაც არ სჭირდება. ველო-საცობში მონითალო ბილიკზე თავადაც მოხვდით. ისე კი, ველისიპედების პარკირების ადგილებს შეუძლებელია უცხოელმა შურნარევი ღმირით არ ჩაუარო. თუმცა, ჩვენთვის მაინც ყველაზე საინტერესო საინახობა სანდრა რულოვსის ველობროლა იყო. უხერხული შეგრძნება მაშინ მოგვეხსნა, როცა ბატონი ედუარდის საოჯახო ბიზნესის ოფისს ვენევიტ და დათვლიერების შემდეგ გარაჟიდან ჩვენივსაც გამოგვარეს ორთვალა ტრანსპორტი. რაღა თქმა უნდა, სანდრასთან ასპარეზობას ცოტა მოწინებასთან ერთად, დიდი გამოცდილებაც ესაჭიროება...

ჟურნალისტზე არანაკლები ინტერესითა და ჟინით ათვალიერებდა ყველა იმ ინტერესს, სადაც პროგრამის თანახმად დელეგაციას უნდა დასტურობა. არც პორტის ერთ-ერთი ტერმინალის მინუს ოცვრადუსიან მაცივარში მორიდება შესვლა და არც უსაფრთხოების ტრენინგცენტრში, სადაც, სხვათა შორის, საკმაოდ საშიში სიმულაციური (სასწავლო) კონსტრუქციებია განთავსებული და მხოლოდ სპეციალური ქუდი, ე.წ. "კასკი" და სპეცმარშუტებით უნდა იარო. დაღლილობას პირველ ლედის საერთოდ ვერ შეამჩნევ. ამიტომ, არც უნდა გააკვირდეს ენების, ეკონომიკის, მუსიკის, კულინარიის, სტუმართმოყვარეობის და საერთოდ ყველაფერის ცოდნა. სამუშაოებით ინოვს ინფორმაციას. გონებაშიაზვილი და, ამავედროულად, იუმორით სავსეა. არასდროს ავიწყდება, ვინ არის და ისიც, რომ პირველი ლედის ტიტულამდე ადამიანი იყო.

შესაბამისად, დიდი ვერკა არ ყოფილა ის, რაც სანდრა რულოვსის მათემატიკის მასწავლებელმა ფრენკ აუდენარდემ მითხრა ინტერვიუში:

- კარგი მოსწავლე იყო.
- მარტო წიგნებში იყო, თუ კალსელებთანაც მეგობრობდა?
- ვერ ვიტყვი, რომ თავისთვის იჯდა. საკმაოდ გახსნილ და მეგობრულ მოსწავლედ ვიცნობდი.
- რაიმე ექსცესი ყოფილა მის გარემო, მაგალითად, თუ აცდენდა ლექციებს, ან თუ შეგიძლიათ რაიმე კონკრეტული გაიხსენოთ მის შესახებ?
- საერთოდ, ის უმაღლესი დონის კლასში იყო და ამდენად ამ ჯგუფის წევრებისგან არც უნდა ელოდო გაცდენას, უპასუხისმგებლობას ან რაიმე ცუდს. ამ კლასში მასწავლებლები ყველაზე მშვიდად გრძნობენ თავს. შესაბამისად, არც სანდრა გაოირჩეოდა. ის იყო სტუდენტი, რომელიც ყოველთვის მზად იყო.

- გამოცდებს კარგად აბარებდა?
- ნებისმიერ გამოცდას უპრობლემოდ გადიოდა.

- მისი მშობლები თქვენ ან რომელიმე მასწავლებელს დაგიაბებიათ საყვედურისთვის?
- არასდროს.

- როგორ სწავლობდა?
- 80-90 პრიცენტით მათემატიკაში, თუმცა მე ვიცოდი, რომ მისი მთავარი მისწრაფება ენა იყო. ამ თვალსაზრისით, ის ყოველთვის ლიდერობდა.
- ახლა რას ფიქრობთ მასზე?
- ძალიან მეამყავს. საერთოდ, ტერნოიზენში სანდრას ოჯახს ძალიან დიდ პატივს სცემენ. კარგი ხალხია.

- სანდრას კლასში კიდევ არის ვინმე, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია?

- საერთაშორისო დონეზე არა (იციან). ქვეყნის მასშტაბით კი ყველაზე დიდ წარმატებად შეიძლება ჩავთვალოთ რამდენიმე სტუდენტი, რომლებმაც მედიცინაში გაიკეთეს დიდი კარიერა.

- თუ წარმოგედგინათ ოდესმე, რომ თქვენი მოსწავლე პირველი ლედი გახდებოდა?

- ვერ გეტყვით, ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. მგონი, არც ერთ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, ნიდერლანდების გარდა, პირველი ლედი პოლანდიელი არ არის. ეს ძალიან საამადაა.

- პირველად გაანია ასეთი მონაცემები?

- მაშინ ამაზე ვერ ვისაუბრებდი, თუმცა, ის ყოველთვის ძალიან შრომისმოყვარე იყო. არც ზრდილობა და თავდაჯერებულობა აკლდა. ადამიანები უყვარდა, პატივს სცემდა. თან ძალიან კარგი ოჯახის შვილია. ალბათ, ასეთი მონაცემების მქონე ადამიანისთვის, მართლაც, შესაფერისია პირველი ლედის სავარძელი.

განსხვავებულ ინფორმაციას არც მშობლები იძლევიან, სანდრას ჩვეულებრივ, ნორმალურ ადამიანად ახასიათებენ. თუმცა, ედუარდ და მაგდალენა რულოვსები დღეს კარგად იცნობიერებენ შვილის მდგომარეობას და ერთი გოჯითაც არ სცილდებიან ეტიკეტის ჩარჩოებს, თანაც ისე, რომ უშუალოდა არ დაკარგონ. ძალიან დიდ პატივს სცემენ სიმეს და ბოლომდე დარწმუნებული არიან მის შესაძლებლობებში. საქართველოზე მზრუნველობის ნიშნები მათაც აშკარად ეტყობათ, სწავლობენ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, არ ტოვებენ საინფორმაციო გამოშვებებს თუ გაზეთებს. გამოთქვამენ თავიანთ აზრს, მაგრამ არასდროს არ ერევიან სხვის საქმეში. რაღა თქმა უნდა, მზე და მთვარე ამოსდიო შვილიშვილზე. პატარა ეღუარდის, ასევე, ახალგაზრდა მიხეილასა და სანდრას სურათებით სახლი მოფენილია. ოჯახი არც არაფერს მაღავს და არც არაფერს უკეთებს განსაკუთრებულ აფიშირებას. რულოვსები ისევე მშვიდად ფუსფუსებენ, როგორც მთელი ტერნოიზენი და საერთოდ პოლანდია. იგივე - ყვაილების ქვეყანა.



პონცერტაზი
დიდი საკონცერტო დარბაზი "იუმორინა 2004" დას.: 19:00 სთ
თეატრები
თეატრალური სარდაფი რუსთაველზე ლალი როსება "პრემიერა"
რეჟისორი: დიმიტრი ღვთისიაშვილი დას.: 20:00 სთ.
თეატრალური სარდაფი ვაკეში რალფ კნიგი ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე დას.: 19:00 სთ.
თავისუფალი თეატრი ჯოზეფ ოსბორნი "კომედიანტები"
რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი ფასი: 5 ლარი დას.: 19:00 სთ.
ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი გაბრიელ გარსია მარკესი "სიყვარულის სულთათნა"
სოფიკო ჭიაურელი თემურ ჩხეიძის სპექტაკლში დას.: 18:00 სთ.
გლობუსი ნინო ნაკაშიძე "ვინ არის დამნაშავე?"
რეჟისორი: სოსო ნემსაძე დას.: 19:00 სთ.
ქართული ფოლკლორის თეატრი "ნაბადი" რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე დას.: 20:00 სთ.
ცირკი რუსეთის საცირკო პროგრამა. ნაჩვენები იქნება ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი. ფასი: 3-7 ლარი ლოჯა: 15 ლარი დას.: 15:00 სთ.
კინოთეატრები
ამირანი "თანამონაწილე" დას.: 20:00; 22:00 სთ.
რუსთაველი "მეფე არტური" დას.: 12:30; 15:00; 19:30 სთ.
"გარფილდი" დას.: 17:30 სთ.
"ვეროტური" დას.: 22:00 სთ.
ახმეტელი "გარფილდი" დას.: 12:00; 16:30 სთ.
"მეფე არტური" დას.: 14:00; 18:00; 20:30 სთ
გამოყვანები
ძველი გალერეა მაია ბურულაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
ბაია გალერეა "კოლექციიდან კოლექციამდე"
თბილისის გოეთეს ინსტიტუტი L'ART POUR L'ART პიერ მენდელისა და მენდელიზობერერის ბიუროს პლაკატების გამოფენა
სურათების ეროვნული გალერეა ანსელმო ძერმის (იტალია) ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
თანამედროვე ხელოვნების გალერეა მარია ნატალია ვაზ-პირეს ზიეკის (პორტუგალია) ნამუშევართა გამოფენა
<i>დაცემილი ლონისძიებების შესახებ შევიძლიათ მოგაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მსახურზე: culture@24hours.ge</i>

ერთი დაკარბული ფილმის ისტორია

ახლახანს ცნობილი გახდა, რომ კულტურის სამინისტროს მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში გამოცხადებული კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტი, შესაძლებელია, გახდეს ცნობილი ქართველი მხატვრის - დავით კაკაბაძის მიერ 1929-30 წლებში გადაღებული *დოკუმენტური ფილმი "საქართველოს მატერიალური კულტურული ძეგლების" რეკონსტრუქცია*. გამარჯვებული პროექტის ავტორი კინორეჟისორი თემურ ცაავა გახლავთ.

თიონა ჭაფარიძე

დასავლეთში კუბიზმის ფუძემდებლობის ერთ-ერთი საკმაოდ ცნობილ პრეტენდენტს - დავით კაკაბაძეს, როგორც იქნა, საკუთარ სამშობლოშიც გაუმართლა: ფილმის ბედი, რომელიც საფრანგეთიდან დაბრუნებულმა მხატვარმა 30-იან წლებში შექმნა და რომელიც საბჭოთა იდეოლოგიურმა მანქანამ თითქმის მთლიანად გაანადგურა, არც თავისუფალ საქართველოში აღმოჩნდა სახარბიელო. ყოველ შემთხვევაში, ამ ორიოდ წლის წინ **"კინოცენტრში"** შეტანილი პროექტი ფილმის აღდგენის შესახებ დაწუნებული აღმოჩნდა. როგორც ჩანს, იმ პერიოდში "კინოცენტრი" უფრო "მალაღმასტ

(ქსეროასლი) ერთი შეხედვითვე მივხვდი, რომ მაგარი მხატვრის მიერ იყო შესრულებული. გამაცანით, ვისი ნამუშევარია, ფული ინდა ვიშოვი და კინო უნდა გადავილი - თქიქ მე. ცოტა დაგვაგვიანდაო - მომპაძეს. კადრირება და დავით კაკაბაძის დაკარგული ფილმის ქსეროასლი აღმოჩნდა" - მიამბობს თემურ ცაავა.

აღმოჩნდა, რომ კადრირების დედანი მხატვრის ოჯახში, ქალბატონ ეთერ ანდრონიკაშვილიან ინახებოდა. მასთან ერთად ბატონმა თემურმა ფირის ნაგლეჯი და ფოტოებიც ნახა. ფილმი მხატვარს 1929-30 წლებში გადაეღო, კადრირებისა და ფოტოების მიხედვით თუ ვიზუალებით, ფილმში მწამდე ძეგლია გადაღებული, მაგალითად, ატენიდან 11 კინოკადრია შემორჩენილი. შემორჩენილია კაკაბაძისერული ფილმის ტიტრებიც კი. გამოყენებული უნდა ყოფილიყო იტალიელი მოხილმისა და კასტელის ჩანახატებიც. მოძიებული დოკუმენტებიდან რკვევა, რომ მონტაჟის შემდეგ ფირის სიგრძე 1800 მეტრს უდრიდა. სავარაუ-

დოა, რომ "საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლები" სამუშაო სათაური ყოფილიყო. საბოლოოდ, ფილმის კვალი ქრება. შემორჩენილია მაშინდელი ცენზორის დასკვნა, რომელიც კომპაქტ დისკშიც კი არის შეტანილი. დასკვნა ასეთია: **"კაკაბაძემ იმ ვეგმაზს გადაუხვია, რომელიც თავიდან ჩაფიქრებულია და ჩვენთან შეთანხმებული ჰქონდა. ეს ფილმი, უზარადად, სიძველეთა მოყვარულის მიერაა გადაღებული."**

მაინც რამ გამოიწვია მაშინდელი ცენზორის ცინიზმი და საბოლოოდ ფილმის გაქრობა? პირველ რიგში, ალბათ, მუხჯი კინოს ხერხები გადაღებულიმა დადუმებულმა ძეგლებმა და ამის შედეგად დაზადებულმა პროტესტმა. და, ალბათ, ასეთი კონცეფციის საბჭოთა ისტორიოგრაფიასა და აქედან გამომდინარე, საბჭოთა იდეოლოგიასთან შეუთანხმებლობამ.

"ფილმის აღდგენა შეუძლებელი იყო. გადაწყვიტე მთელი ეს მასალა გარკვეული თანმიმდევრობით CD-ზე მომთავსებინა და ფილმზე შემდეგ

აპირებს. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი. შექმნა გმიორი, არქეტიპი. მე ბევრი ადამიანი ვიცო, ვისაც უყვარს ვესტერნის ჟანრის ფილმები, სადაც არის კეთილი, ბოროტი და შუაში უდაბნოა... ჩემი სიმბოლიკაც სწორედ ამას ემყარება. ამ ყველაფერს კი კინოს ენით ვამბობ: ფერით, სინათლით, კამერის მოძრაობით.

- **თუ სწორად გავიგე, თქვენ ცდილობთ, ზედმეტი ინფორმაცია ჩამოაცილოთ ფილმს და გზა გაუხსნათ მაყურებლის ფანტაზიას..**

- დიახ, სწორედ ასეა. ეს არის ჩემი ჭადრაკის თამაში მაყურებელთან. მაყურებელი განსხვავებულია და ყველა განსხვავებულს ხედავს ფილმში. ფილმი გასაღების ჭჭჭრუტუნასავით არის, რომელსაც გასაღები შენ თვითონ უნდა მოარგო.

- **მართალია, რომ თქვენ გაქვთ კაფე და მისი შემოსავლით იღებთ ფილმებს?**

- არა მარტო კაფე, მე მაქვს ჩემი კინოთეატრიც. ეს არის ძველი პოლიციის შენობა, რომელშიც ჩვენ კინოცენტრი გავაკეთეთ. აქ ოთხი დარბაზია, კაფე და ბარი. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ მინდა დამოუკიდებელი ვიყო და კინობიზნესთან არავითარი საქმე არ მქონდეს.

- **სახელმწიფოს დახმარებითაც არ სარგებლობთ?**

- არავითარი სუბსიდიები! პირიქით, ჩემი ცენტრი კრებს თანხებს სხვა ქვეყნიბიდანაც: ბელგიადან, გერმანიიდან, შვედეთიდან.. და ეს ფული პოლანდიაში ტრიალებს. ასე რომ, სახელმწიფოსთვისაც კარგ საქმეს ვაკეთებ. საქმე იმაშია, რომ პოლანდიელები უფრო პრავმატული, კალენინისტური მსოფლმხედველობის ხალხია. მათ უყვართ კითხვა, ფიქრი, გაახრება. მე კი უფრო ვიზუალური ეფექტის მოყვარული ადამიანი ვარ.

- **ბუერი პირი გაქვთ მიღებული, რამდენად ანიჭებთ მნიშვნელობას ამას?**

- ეს მნიშვნელოვანია ჩემი "ეგოსთვის". თუ ადამიანს "ეგო" არ აქვს - ვერაფერს ვერ შეძენის. დიდი "ეგო" ეს უკვე საშიშია.

- **თვითონ რა კრიტერიუმებით აფასებთ საკუთრ ფილმებს?**

- ჩემთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს თუ რა რეაქცია აქვს, რა ემოციებს ამჟღავნებს მაყურებელი. ყველა ადამიანს სხვადასხვა მიზეზის გამო მოსწონს ფილმი. ფილმი პატარა ბავშვებით არის. ბავშვი ყველაფერს ვერ აკეთებს სრულყოფილად: ვერ დადის, ვერ ლაპარაკობს კარგად. მაგრამ ის მაინც გიყვარს. ფილმებიც უნდა გიყვარდეს, როგორც ბავშვები, არა სრულყოფილების, არამედ სწორედ მათი სისულტეების გამო. სწორედ იმიტომ, რომ ისინი ასეთი უცნაურები არიან. ჩემი ფილმებით ისე ვამაჟობ, როგორც შვილებსა და მიხარია, როცა მეუხნებიან, რომ ჩემი შვილები ლამაზები არიან.

- **განსაკუთრებით საყვარელი "შვილები" გყავთ თუ ყველა ფილმი ერთნაირად გიყვარათ?**

- შეიძლება ითქვას, რომ "მეისრე" და "მფრინავი პოლანდიელი" არის ჩემი საყვარელი ფილმები. თუმცა მიმარნია, რომ ყოველი ფილმი არის როგორც ერთი შედეგეი საფეხური და რეაქცია წინა ფილმზე. ჩვეულებრივი, ბოლო ფილმი არის ხოლმე ყველაზე საყვარელი ფილმი.

- **რას ურჩევთ ახალგაზრდა რეჟისორებს თქვენს მასტერკლასებზე?**

- რეჟისორს სამი მთავარი რამ

უნდა ახასიათებდეს: 1. პატარა უნდა იყოს, რომ ცოტა განდევნებას სურვილი ჰქონდეს. 2. ცოტა არასრულფასოვნების კომპლექსიც უნდა ჰქონდეს და 3. უნდა შეეძლოს კარგად აკონტროლოს საქმეები.

"კინო პატარა ბავშვივითაა, რომელიც თავისი არასრულფასოვნების გამო უნდა გიყვარდეს"

ფესტივალი "ტრანსფერი" იოს სტელინგს მასპინძლობს



ლაშა ბაძალაძის ფოტო

- სამწუხაროდ, მე მხოლოდ "ქოლგა" ვნახე და ერთი ფილმით ვერ იმსჯელებ რეჟისორის შემოქმედებაზე. მხოლოდ აქედან მსჯელობა ძნელია. თანაც ეს 60-იანი წლების შავ-თეთრი ფილმია. ძალიან რომანტიკული ფილმია. მასში მე დავინახე დიდი სიყვარული ფილმის მთავარი გმირი ფიგონას მიმართ. როგორც გავიგე, ეს მისი ყოფილი მეუღლე ყოფილა და ეტყობა, რომ მას ძალიან უყვარდა ის გოგო. მთელი ფილმი ამ გოგონას ხოტბას წარმოადგენდა.

- **შესავალში კინორეიტკოსმა გოგი გვახარიაშ აღნიშნა, რომ თქვენ სხვადასხვა დროსა და სივრცეში ერისა და იგივეს აკეთებდით კინოში. რამდენად დაეთანხმეთ ამ აზრს?**

- ჩვეულებრივ, რაც უფრო გგონია, რომ სიმართლეს უახლოვდები, სინამდვილეში უფრო შორდები მას. შეიძლება, მართლაც, არსებობს რაღაც სიახლოვე ჩვენ შორის. ალბათ, თემატურად ახლოსაა კოზახიძის "ქოლგა" და ჩემი "მეისრე". გარკვეული სიახლოვე შეიძლება იპოვო იმ გოგონასა და ჩემი ფილმის ქალბატონს შორის. რეჟისორი ყოველთვის შეყვარებული უნდა იყოს თავის გმირებზე, სხვანაირად არ შეიძლება.

- **რატომ ერიდებით სიტყვებს თქვენს ფილმებში?**

- ამას ვანზრახ არ ვაკეთებ. სინამდვილეში, ჩემი სცენარები საესეა დიალოგებით, მაგრამ როგორც კი გადაღებას ვიწყებ, ეს სიტყვები თითქოს თავისთავად ქრებიან, უსარგებლონი ხდებიან. როცა იწყებ კინოს ენით საუბარს, სიტყვები უკვე ზედმეტია. მაგალითად, შეიძლება თქვა: "უნდა კიბეზე ავიდო", კინოში, უზრალოდ, ახვალ კიბეზე და არაფერს იტყვი. სიტყვები გონებიდან მოდის. ყოველ ნათქვამს შემდეგ დაფიქრება მოსდევს. ასე კი, ვფიქრობ, დაშორდები ყველაზე მთავარს - თავად ფილმს. ჩემთვის ყველაზე მთავარს ფილმის ვიზუალური მხარეა.

- **იქნებ ამ პოზიციის მიზეზი ის არის, რომ თქვენ მხატვარი იყავით და სამყაროს უფრო მეტად ვიზუალური ნიშნებით აღიქვამთ?**

- მხატვრობამ, მართლაც, მოახდინა ზეგავლენა ჩემს ფილმებზე. მე ჯერ მხატვარი ვიყავი, შემდეგ დავინყე ოპერატორობა და ბოლოს რეჟისორობა. თუმცა, მხატვრის დამოკიდებულება ჩანს სტენლი კუბრიკის ან ჟაკ შიმონს ფილმებშიც. ფეილინგს ფანტასტიკური მხატვარი იყო. ეს მის ფილმებში იგრძნობა.

- **როგორც ვიცო, განათლება კინოს დარგში არ მიგიღიათ, რომელმა რეჟისორებმა ან ფილმებმა განაპირობეს თქვენი რეჟისო-**

ლმი "საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლები" პრაქტიკულად ერთდროულად, მაგრამ განსხვავებული იდეოლოგიის სამყაროებში შეიქმნა და ამან მათი სხვადასხვა ბედიც განსაზღვრა - თუ Z დღემდე უყვებლარის ადგილზე ამერიკაში, იელის უნივერსიტეტის გალერეაში და ისევ ახაფრთვანებს მნახველს, ფილმი "საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლები" ისე განადგურდა და გაქრა, რომ იგი აღარავის უნახავს.

ჩვენი იდეა ასეთია: შეიქმნას Z-ის ასლი, რომელიც თბილისში, შესაფერის ადგილზე განთავსდება, ფილმი კი რეკონსტრუირებული იქნას და შეიქმნას მისი remake. - წერდნენ პროკლამაციაში.

P.S. "კადრირება და ფოტოები თითქმის ემთხვევა ერთიმეორეს და ფილმის რიტმის აღდგენის საშუალებას იძლევა. ისლად დამრჩენია გადამღებ ჯგუფთან ერთად იგივე მარშუტი გავიარო, რაც ამ 75 წლის წინ დიდმა მხატვარმა" - ამბობს ბატონი თემურ ცაავა.

ცნობილი პოეტის ცხოვრების უცნობი ფაქტები

ირმა ბაქრაშვილი

დღეს, XXI საუკუნეში, ტექნიკური განვითარების ეპოქაში, როდესაც ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენელია სატელეფონო ქსელებისა და მობილურების გარეშე, ძალიან ცოტამ თუ იცის, როდის შემოვიდა საქართველოში კომუნიკაციის ერთ-ერთი პირველი საშუალება - ტელეგრაფი.

თურმე, ამ მნიშვნელოვან საქმეს სათავეში ცნობილი პოეტი გრიგოლ ორბელიანი და მსოფლიოში უდიდესი, ცნობილი ფირმის "სიმენსის" დამაარსებელი ვერნერ ფონ სიმენსი და მისი ძმები ედგენენ. გუშინ, 14 ოქტომბერს რომანტიკოსი პოეტის დაბადებდან 200 წელი შესრულდა. საინტერესოა რა აკავშირებდა გენერალ ადიუტანტს სატელეგრაფო ხაზების მშენებლობასთან და როგორი ურთიერთობა ჰქონდა მას ძმებ სიმენსებთან?

აი, რას გვამბობს საქართველოში პირველი კავშირგაბმულობის საშუალების შემოტანის თაობაზე ცნობილი ინჟინერი, საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორი, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის ღირსების ორდენის კავალერი ბატონი ანდრე კარბლაშვილი.

- ტექნიკის ისტორიის შესწავლის დროს, საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივში მოვიძიეთ დოკუმენტები, რომლებიც საქართველოში პირველი ტელეგრაფის ხაზის მშენებლობაზე გვიამბობენ. და რაც უფრო მეტ დოკუმენტებს ვეცნობოდით სქელტანიან საქმეებში, მით უფრო ხშირად გვხვდებოდა გვარი "ორბელიანი". სიმართლე რომ ითქვას, პირველად ვერც მივხვდი, რომ ამ "ორბელიანში" ყველა ჩვენგანის საყვარელი პოეტი თუ იგულისხმებოდა.

თანდთან ცხადი გახდა, რომ თუკი დიდი რამ გააკეთა გრიგოლ ორბელიანმა თავისი ხალხისთვის, მათ შორის, საქართველოში, იმ დროისათვის უდიდესი ტექნიკური სიახლის - ტელეგრაფის დანერგვა იყო.

ამიერკავკასიის ადგილობრივი პრესა და მათ შორის, გაზეთი "საქართველოს მოამბე", რომელსაც ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა ხშირად აქვეყნებდა ცნობებს ტელეგრაფის ხაზების მშენებლობაზე. "საქართველოს მოამბეს" მიაჩნდა, რომ სატელეგრაფო კავშირს დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოებსა და ხალხთა შორის ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. გაზეთი განსაკუთრებულად მიუთითებდა ტელეგრაფებით ამბების სწრაფად გადაცემის უპირატესობაზე. მაგალითად, ერთ-ერთ ნოემბერში აღწერილი იყო, როგორ გადაეცა ნაპოლეონ III-ის მიერ პა-



ძმები სიმენსები და ვალტერის ცოლი

რიზში წარმოთქმული სიტყვის ტექსტი ლონდონსა და ბრიუსელს. ბატონი ანდრეს დახმარებით საშუალება მოგვეცა, გიაშობით იმ პირველი საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ, რომლებიც დედაქალაქს ამა თუ იმ რეგიონებთან თუ საზღვრებს გარეთ აკავშირებდა.

საქართველოში პირველი ტელეგრაფის ხაზი 1858 წლის ზაფხულში თბილისს და კოჯორს შორის გაუყვანიათ. იგი მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების ოპერატიული საქმიანობისათვის ყოფილა განკუთვნილი და რაიმე ეკონომიკური მნიშვნელობა მას არ ჰქონია. მომხდარ ფაქტს თბილისის საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვედრია. გენერალ ადიუტანტს თბილისი - კოჯორის ტელეგრაფის ხაზის 1859 წლის ექსპულატაციის ხარჯთაღრიცხვა დაუმტკიცებია. მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები საარქივო მასალებშია შემონახული.

თბილისი - ფოთი	
პრესა, კერძოდ, გაზეთი "კავკაზი" დიდი ინტერესით გამოხმაურებოდა 1860 წლის 5 ოქტომბერის თბილისში ფოთიდან გადაცემულ დეპეშას. ამავე წლის 10 აგვისტოს თბილისმა და გორმა ერთმანეთს პირველი დეპეშები გაუცვალეს. ასევე აღნიშნულ დროს სატელეგ-	

ბოკერმა დაგლიჯა და კინაღამ იმსხვერპლა კიდევც. გერმანელი ილუზიონისტების წარსვლის შემდეგ კი "მირაჟი" უმირაჟოდ დარჩა - სავიზიტო ბარათად აღარ ჰქონდა არც ერთი გრანდიოზული შოუ. სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა, რომ მუდმივ დასად ლას ვეგასში Cirque du Soleil მიეწვიათ. კონტრაქტი გაფორმდა და დასმა "მირაჟში" ოთხი შოუ დადგა. "ბითლზი" მეხუთე იქნება. Cirque du Soleil-ის დამფუძნებელი გაი ლაღბერტი სპექტაკლის შესახებ საუბრისას სიტყვადწუნობს. ამბობს, რომ შოუ 90-წუთიანი იქნება, მაგრამ არც სიმღერების სავარაუდო ნუსხას ასახელებს და არც სიუჟეტს. ის მხოლოდ დასძენს, რომ წარმოდგენაში უხვად იქნება გამოყენებული კანადელების ცნობილი აკრობატიკა და რომ ეს იქნება "ბითლზისთვის" მოწყობილი დღესასწაული. ლაღბერტისვე თქმით, იდეის განხილვა ჯორჯ ჰარისონთან ერთად ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ დაიწყო, მაგრამ პროექტისთვის ფრთა შესხმა მხოლოდ ახალაა მოახერხა. თუმცა, ჯობს, თავად პროექტის ავტორებს მოეუსმინოთ პირველ პირში: **"გამოსცადო და შეიგრძნო "ბითლზი" თავიდან - აი, რას მოგვითხრობს დადგმა. გვსურს, Cirque du Soleil-ის მაგია მსოფლიოში უსაყვარლესი როკ-ჯგუფის ემოციასა და სულისკვეთებას გავურიოთ და შევექმნათ მარტივი, ცალსახა განაცხადი იმ მომენტების შესახებ, რასაც "ბითლზი" მსმენელს ანიჭებს"** - აცხადებს ლაღბერტი. **"ეს ფანტასტიკური პროექტია, პირადად მე ძალიან მიხატია, რომ ამ უდიდეს შემოქმედებით გუნდთან მუშაობის საშუალება მექნება"**, - თავის მხრივ, და-



"ბითლზი" ახლა კანადურ ცირკთან ერთად აპირებს მზის გარშემო ბრუნვას.

სძენს პოლ მაკარტნი.

"მეტი რაღა მინდა? - მექნება "ბითლზი", Cirque du Soleil-ი და შესანიშნავი დარბაზი ლას ვეგასში - უკეთესი ალარაფერია. მოუთმენლად ველი პრემიერას იმდღე, რომ მე იქ ვიქნები და იმედი მაქვს, რომ - თქვენც", - რეკლამას საკუთარ თავზე იღებს რინგო სტარი.

"ბითლზი და ცირკი. ვფიქრობ, ძალიან მაგარი კომბინაცია: "ბითლზის" სხარტი ფიქრები და Cirque-ის მკვირცხლი, მოქნილი სხეულები", - აცხადებს იოკო ოლბი.

"ჯორჯი და გაი მრავალ საკითხში იზიარებდნენ ერთნაირ თვალთახედვას და ამ პროექტის განხორციელებაც სურდათ. ამიტომ ძალიან მიხარია, რომ, საბოლოო ჯამში, იდეამ ნაყოფი გამოიღო", - კომენტარების ნუსხას ას-

რულებს ოლივია ჰარისონი.

მოკლედ, "ბითლზი" ახლა კანადურ ცირკთან ერთად აპირებს მზის გარშემო ბრუნვას. ვფიქრობთ, ცალსახად ნათელია, თუ ვის უფრო მეტად სჭირდება ეს ერთობლივი ბრუნვა. მოუხდევად იმისა, რომ კანადური დასი აქამდეც არ უწიოდა პოპულარობას (მათი შოუები), "ბითლზის" მუსიკა მათ გრანდიოზული წარმატების გარანტიას ახლა უკვე იდეის ჩანასახშივე ჰპირდება.

ამ ახალი და უდავოდ საინტერესო პროექტის მთავარი მოქმედი პირების შესახებ ცნობარი რომ შევიგსით, მოგახსენებთ:

Cirque du Soleil: დაარსდა 1984 წელს, მონრეალში. აქედან მოყოლებული მათი წარმოდგენები 40 მილიონზე მეტ მაყურებელს აქვს ნანახი, დედამიწის ოთხივე კონტინენტზე, 130-ზე მეტ ქალაქ-

ვით. დიდი თხოვნა გვაქვს, გენერალ და თუ ანგარიშს გავცინევთ, მაღლობის მეტი რა გვეთქმის. თქვენი ჭირიმე, გვინდა ნამდვილად გავიგოთ, თბილისიდან რომ უფლტქებილისკენ ბოძებს აყენებენ, მართლაც, ტელეგრაფი გაჰყავთ ვლადიკავკაზისკენ? ამბობენ, ვლადიკავკაზიდან მერე სტავროპოლსაც შეუერთებენო.

გენერალი გააკვირვა, დუშელეზის თბილისი-სტავროპოლის ტელეგრაფის მშენებლობით დაინტერესებამ.

- ზუსტად შეგიტყვიათ, მაგრამ თქვენ რა?

ისევ იმ პირველმა უპასუხა:

- თუ არა თქვენ, აბა ვინ იცის, რა შორს დადიან საეაჭროდ ჩვენებურები. თბილისი და ვლადიკავკაზი რა არის, სტავროპოლშიც ჩადიან და რუსეთის სხვა ქალაქებშიც და ჩვენზე ძალიან ვის უნდა, გაიგოს, სად როგორ ფასობს საქონელი, სად ღირს ნასვლა, ანდა სახლში ხომ გინდა, დროზე შეატყობინო ამბავი შორს გამგზავრებულმა კაცმა. რა იქნება, რომ ტელეგრაფის სადგური დუშეთშიც მოეწყოს? ამ-აზე გვექონდა თათბირი. ხალხმა თქვა, ეს კარგი საქმე იქნებაო. და გვეცმნარეთ ტელეგრაფის გაყვანაში და ჩვენი მხრივ, ხელს შეუწყნოთ საქმეს, 350 მანეთი შევავროეთ და როცა საჭირო იქნება, მოგართმევთ კიდევ.

- ისიც დაადგინა კრებამ, - დაუ-

მატა მეორემ, - ტელეგრაფის სადგურისათვის ოთახებს გამოვყოფთ დუშეთის ცენტრში, სასტუმროს შენობაში, ავეჯსაც შევიძენთ.

გლეხების ასეთი გულახდილი საუბარი გრიგოლს ესაოოვნა, გაამხნევა ისინი და უთხრა:

- კარგი ქნით, რომ ჩამოხვედით. მე ვინონებ დუშეთში ტელეგრაფის სადგურის მოწყობასო. თან დასძინა რომ ბერლინიდან გამოგზავნილი სპეციალისტები სიმენსის თაონსობით დაეხმარებოდნენ მას. სწორედ ფირმა "სიმენსის" და "ჰალკეს" მიერ, პეტერბურგში დადებულ ზელშეკრულების თანახმად, საქართველოში ჩამოყვანილი იქნა მექანიკოსი ვალტერ სიმენსი. გრიგოლმა შესძლო პირობის შესრულება.

თბილისი პეტერბურგი

ილია ჭავჭავაძემ საქართველოში ტელეგრაფის ხაზის მშენებლობას სამეილიშვილო საქმე უწოდა. აი, რას წერს მისეული "საქართველოს მოამბე".

"ამ წლის იანვრის თვეში გაათავეს გაბმა ტელეგრაფის ხაზისა თბილისს და სტავროპოლს შიგა. ამბობენ, რომ წელსვე მიიტანენ ამ მავთულს როსტოვის ქალაქამდე, რომელიც შეერთებულია პეტერბურგთან ტელეგრაფით ევროპის ყველა დედაქალაქთან, ამას რასაკვირველია, ჩვენს ქვეყნის სასარგებლოდ მოქმედება ექნება, რადგან ტელეგრაფი გააადვილებს ამბების გადაცემას, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ნამეტნავად საეაჭრო საქმეებისათვის."

მეორე სამშობლო

ძმები ვალტერი, კარლი, ვერნე-ო, ოტო და ვილიამი სხვადასხვა წლებში იმყოფებოდნენ საქართველოში. ვალტერი და ოტო მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში ჩვენს დედაქალაქში სამწნარეო წარმომადგელობას ხელმძღვანელობდნენ. ვალტერი თბილისში 1868 წელს პრუსიის კონსულის მისიასაც ასრულებდა. მოულოდნელად ის ცხენიდან გადმოვარდა და დაიღუპა. იგი მისმა უმცროსმა ძმამ, ოტომ შესცვალა. ოტო სიმენსმა ამიერკავკასიაში ომში დაღუპული თავადი მირსკის ქვრივის სა-ლევ გარდაიცვალა. მან და მისმა ძმამ ვალტერმა თავიანთი ბოლო განსაზვევებელი თბილისში ჰმოვეს. ხოლო უკვე ღრმად მოხუცებულ 80 წლის ვერნერმა 1890 წელს ესტუმრა თბილისს მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად. "ჩამოვედი რათა უპანასკნელად მოეინახულო ჩემი საცვარელი, მეორე სამშობლო", - განუცხადებია მსოფლიოში უდიდესი ფირმის დამაარსებელს.

"ბითლზის" სხარტი ფიქრები, აკრობატების მკვირცხელი მოძრაობები

ენიკალური თეატრალური პროექტი გაიხსნა

Cirque du Soleil ფრანგულ ენაში მზის ცირკს ან მზის წრეს ნიშნავს, თანამედროვე ქორეოგრაფიაში კი - ძალიან წარმატებულ დასს, რომელიც მხატვრულ-აკრობატულ წარმოდგენებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მართავს. თუმცა, ეს მაინც არ არის საქმარის იმისთვის, რომ მისი სახელი ძველმა "ბითლომანებმაც" იცოდნენ. საამისო მიზეზი ასეთების მხოლოდ ახლახან გაუჩნდათ; მას შემდეგ, რაც კანადურმა დასმა მორიგი შოუს დადგმა "ბითლზის" მუსიკის თანხლებით გადაწყვიტა. ანუ, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, წლების განმავლობაში, გარეშე თვალისგან კარგად დაცული ციხე გატყდა და ლეგენდარული ჯგუფის მუსიკალური არქივის გამოყენება ასე მასობრივად პირველად მოხერხდა.

და, რაც მთავარია, ციხე მიგნიდან გატყდა. Cirque du Soleil-ს არქივის გამოყენების უფლება ნილ ესპინელმა მისცა - "ბითლზის" კუთვნილი ფირმის "ფფლის" მმართველმა დირექტორმა. მისი თქმით, მსგავსი თხოვნით მასთან ბევრი მისულა, მაგრამ თანხმობის მოპოვება მხოლოდ Cirque du Soleil-მა შეძლო. შოუს დადგმაში აკრობატებს თვითონ პოლ მაკარტნი და რინგო სტარიც დაეხმარებიან, იქვე იქნება იოკო ონო და ოლივია ჰარისონიც - "ბითლზის" ცნობილი ქვრივები.

ჯერ კიდევ უსათუარო პროექტი სპეციალურად ლას ვეგასისთვის მზადდებოდა, მისი სავარაუდო ბიუჯეტი 100 მილიონი დოლარით განისაზღვრება და მზად იკიოდეთ თვეში უნდა იყოს. პრემიერა სასტუმრო-კაზინო "მირაჟის" სცენაზე გაიმართება, იქ, სადაც ერთი წლის წინ ცნობილ გერმანელ ილუზიონისტებს ზეფერიდსა და როის საშინელი უბედურება შეემთხვათ, როი მოთვინიერებულმა ვეფხვის

ახალი საქველმოქმედო იდეებითა და მიზნებით. ჯგუფი ეხმარებოდა ყველა ნიჭიერ და უცნობ შემსრულებელს და მათ ჩანანერების უფასოდ გაკეთების საშუალებას აძლევდა. "ფფლი" განაცხედა "ბითლზის" საქმეებსაც, ორგანიზებას უკეთებდა 60-იან წლებში გამოსული სიმღერების კატალოგებს, რომელთაგან დღემდე 600 მილიონი ჩანანერია გაყიდული. უკვე 1990-იანი წლებიდან "ფფლმა" "ბითლზის" ახალი პროექტების განხორციელება დაიწყო - მათ ანგარიშზეა გახმაურებული კომპაქტიცი Let It Be Naked.

"მირაჟი": პროექტის ავტორები შოუსთვის შესაფერის ადგილს დიდხანს ეძებდნენ. განიხილებოდა ლონდონის, ნიუ იორკისა და ტოკიოს ვერსიებიც. თუმცა, ბოლოს ისევ ლას ვეგასზე შეთანხმდნენ - ქალაქზე, რომელსაც ტურისტების ყველაზე დიდი ბრბოები სტუმრობს - მხოლოდ წელს დაახლოებით 37 მილიონი.

თანაც, Cirque-ის წარმოდგენა "მირაჟის" სრულად ახალ თეატრში გაიმართება. მისი მშენებლობა აგვისტოში დაიწყო და ახლაც გრძელდება. ჩაფიქრებულია 2-ათას კაციანი დარბაზი 360-გრადუსიანი აღქმით. ის შეცვლის თეატრს, რომელშიც მთელი 13 წლის განმავლობაში გამოდიოდნენ ზიგფრიდი და რიო.

ასეთი დიდი პროექტები ლას ვეგასისთვის უცხო არ არის. რამდენიმე წნის წინ "სეზარს ფალასში" სტონი დიანის შოუსთვის 95 მილიონიანი თეატრი აშენდა.

მოკლედ, ასე გაიჩინეს ძველმა ბითლომანებმა მეგობარი სრულად წარმოუდგენელი სფეროდან - აკრობატიკიდან. მაყურებელი კი, ამ უცნაური ტანდემის შედეგს, როგორც გვპირდებიან, ოციოდეთვეში იხილავს.

წარაყები

ჟსტაბაში ირაკლი ბარიაშვილი

მაგრამ, რომ გვინდა?!

ეს წერილი მარო მაჩხაანელის სახელით მიწდოდა დამეწერა, მაგ-რამ აზრი აღარა აქვს. გამჟღავნებული კაცებეშნიკისა არ იყოს, გამო-ფრული ფსევდონიმი ფსევდონიმი აღარ არის. ერთი სიტყვით, დაინე-ვი. უფრო სწორად, დაწვევს. როგორც საერთოდ საქართველოში ხდე-ბა ხოლმე, რომელიღაც შინაურმა ჩამიშვა. ჯანდაბას, რაც იყო, იყო. ახლა კი მთავარზე, ესე იგი, მიზეზზე. იმაზე, თუ რა და რატომ გაკეთებინებს კაცს ამასა და ამას. ამ შემთხვევაში ისევ ამ ოხერ ფე-ხბურთის ვგულისხმობ.

საერთოდ, ეგერ ვართ ქართველები - თუმცა, შეიძლება მარტო ჩვენ არა - ათი ოქრო რომ ჩამოგვიტანონ ოლიმპიური თამაშებიდან, მაინც ფეხბურთი გვინდა. რალა ჩვენი ფეხბურთის გულშემატიკირე-ბი და რალა ჩემი პატარა ქალბატონი! არა გვაქვს, შვილი, საამისო ფულიო, ანდა, ახლა ამის გაკეთება არ შეიძლება-მეთქი. კი მოგისმ-ენს, მაგრამ ბოლოს მაინც თავისას იტყვის: რომ მიწდაო?!

ამ ჩემი შვილისა მაინც რა მიკვირს, ფეხბურთის ქართველ გულ-შემატიკივარს სურვილებში ნეტა ვინმე შეედრება?

აი, ამ მოსაზრებას კი ბეჭედიც შემიძლია დაუესვა - ყველას თუ არა, ძალიან ბევრ ქალს სულითა და გულით უნდა, სილვანა პამპაწინი-სა და ჯინა ლოლობრიჯიდასავით გემრიელი იყოს, ბრიჯიტ ბარდოს სექსუალურობა ჰქონდეს, ოდრი ჰეპბერნისა და ჯულია რობერტსის უღმერთოდ ლამაზ, მართლა ანგელოზის ღიმღის ასხივებდეს, ჯენიფ-ერ ლოპესისთანა ცეცხლოვან ტრასკ დაათამაშებდეს, მაგრამ...

მაგრამ ეგეთები თითო-ოროლანი არიან. ცოტასთვის იმეტებს ღმერთი ეგეთ რამეებს...

ჰო, ქართველ გულშემატიკივარზე ვამბობდი. ძალიან განსწავლუ-ლები, სულ რაღაც სქემებზე ლაპარაკობენ, მწერთნელებს არჩევენ, აი, ის რომ მოგვეწვია, აი, ესო... აი, ტრავმებიო, აი, დაცვაო, აი, ნახე-ვარდაცვაო...

ჩვენს დღევანდელ თავდამსხმელებს რას ვერჩი, მაგრამ შოთა არევლაძის ბრალი ხომ არ არის, რომ ის ძველი შოთიკო აღარ არის, არც სხვებზე მინდა სამდურავი ვთქვა, მაგრამ ისიც ხომ სიმართ-ლეა, რომ ჩვენი თავდამსხმელების ცოტა ვინმეს თუ უშინია. არადა, პაიჭაძიდან მოყოლებული, ნიჭიერი თავდამსხმელი არ მოჰკლევია ქათოულ ფეხბურთს.

საქართველოს დღევანდელი ნაკრების ბრძოლისუნარიანობა ნა-ლდად შეუმრდებოდა, თბილისის "დინამო" რომ ერქვა, იმ ძველ ნაკ-რებს, მაგრამ... არც ბარქაიაა, არც მესხი, არც შერთვეული, არც ყი-ფიანი, არც გუცავეი, არც ნოდია, არც შენგელია, სხვათა შორის, არც ცაავა და უმცროსი მიშა. მა ვიცო, კიდევ რამდენი ჩამოეთვა-ლო... რა თქმა უნდა, ვარჯიშითა და კარგი ორგანიზაციით დღოდა-დრო თურქეთსაც მოუგებს, წვალებით, მაგრამ აღბანეთსაც, შინ რუ-სეთის დამარცხებაც შეიძლება მოახერხო, კიდევ სხვებისაც, მაგრამ პირველობაზე ფიქრი, აი, წელან რომ დედაკაცები ჩამოეთვალე, ეგ-ეთ ოცნებას ჰგავს, თანაც, ისეთ ქვეყანაში, სადაც ყველა სხვა სფე-რი რამდენიმე ათეული წლით მაინც ჩამორჩება, ჩვენ რომ შეენატრ-ოი, იმ ქვეყნებისას...

საქმე, როგორც ხანდახან გვინდა წარმოვიდგინოთ, არც ისე ცუ-დადია. ერთი წუთით ვცადოთ და იმ გუნდს, დღეს საქართველოს ნა-კრებს რომ წარმოადგენს, თბილისის "დინამო" ან კიდევ სხვა რამე სახელი დავარქვით და საკლდო ტურნირებში გავუშვით. დამერნ-მუნეთ, არც ისე ურიგო შედეგები გვექნება. თანაც, დიაცადეთ რა, ადრე თუ გვიან გამოჩნდება ერთი-ორი იამანიძე და მაჩაიძე, ან ყი-ფიანის, ან გუცაფისნარიი ვინმე და ჩვენთანაც იქნება ქორწილი...

იქ, ძმაო, ევროპაში, მილონებს ახარჯებენ ბავშვთა სკოლებს, მაგასაც აღარ სჯერდებიან, მთელ დუნისა არიან მოდებულნი, სად-აც ნიჭიერს ნახავენ, თავისთან მიჰყავთ, აი, მაღრიდის "რეალმა" კი სულ გარეკა - ლამის მსოფლიოს ნაკრები იყიდა. ჩვენ რომ ვართ, ეგ-ეთი გამოფხეკილი ჯიბის პატრონებს სურვილები და პრეტენზიებ-იც, ვფიქრობ, შედარებით მოკრძალებული უნდა გვექონდეს. ქომა-გობით ვუქომაგოთ, ბატონო! ფეხბურთი თამაშია. თამაში კი იმიტომ არსებობს, რომ მარტო ერთმა მოიგოს.

აი, უკრაინელებთან თამაშის დღეს დედაჩემი დილიდან არც ერთ საინფორმაციო გადაცემას არ გაეკურა. თავებზე და წერვები უნდა დავასვენო, საღამოს ფეხბურთს უნდა ვუყუროო. მაგიადაზე გამზა-დებულდი ეწყო ნახევარი დუგინი წამლები და წნევის აპარატი. მოკლ-ედ, კარგმა თამადად რომ იცის, ისე შეინახა თავი კრიტიკულ, ესე იგი, საფეხბურთო სიტუაციამდე.

კარგი თამაშია ეს ოხერი ფეხბურთი, მაგრამ ცოტა თავსაც გაუ-ფრთხილდით - მარტო ფეხბურთი კი არა, მთელი ქვეყანა გვაქვს ას-აშენებელი!

დამარცხებული, მაგრამ იმედიანი

მიხაილ აბაიშვილი

უინსტონ ჩერჩილს აქვს ნათქვამი: "დიდი პოლიტიკოსობა იმას კი არ ნიშ-ნავს, ზუსტად იწინასწარმეტყველო მოვლენები, არამედ იმას, რომ ახსნა, თუ რატომ არ გამართლდა შენი წინას-წარმატყველება." ზუსტად ამის გაკე-თება - უკრაინასთან მარცხის მიზეზე-ბის ახსნა მოუხდა გუშინ ალენ ჟირესს, რომელმაც ფეხბურთის ფედერაციის ოფისში, თანაც, "ცხელ კვალზე" ლეო-ვის მატრისადმი მიძღვნილი პრესკონ-ფერენცია გამართა.

უკრაინაში გამგზავრებამდე ჟირე-სი მასპინძელთა ნაკრებს მიიჩნევდა ფავორიტად, თუმცა, არც იმას მალავ-და, რომ მისი გუნდი, სულ მცირე, ფრეს გეგმავდა. პრინციპში, საქართველოს ნაკრების თამაშის ხარისხიდან გამომ-დინარე, ფრე სულაც არ ჩანდა მიულ-წვეულ მიზნად, მაგრამ სხვადასხვა სუ-ბიექტურმა თუ ობიექტურმა გარემოე-ბებმა საქართველოს ნაკრების მარცხი გამოიწვია. რაც მთავარია, წინა ორ ოფიციალურ მატჩთან დაკავშირებით ჟირესს იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ, დადებითი შედეგის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებმა ძალიან ცუდ-ად ითამაშა. გუშინ კი ყველას მოგვიხ-და იმის აღიარება, რომ ჩვენებმა დამა-ჯერებლად და ტაქტიკურად გამართუ-ლად ითამაშეს, მეტოქე ბევრ კომპონე-ნტში დაჯანბნეს, მაგრამ მაინც დამარ-ცხდნენ.

"ჩემმა ბიჭებმა გუშინ ძალიან კარ-გად ითამაშეს, მაგრამ, მოგესხენებათ, შეფასების მთავარი კრიტერიუმი შე-დეგია, რამაც ძალიან დაგვწყვიტა გუ-ლი. საქართველოს ნაკრები არათუ არ ჩამოუვარდებოდა თავის მეტოქეს, არ-ამედ მთელ რიგ სათანამო კომპონენ-ტებში აშკარად აღმეტკებოდა. სამწუ-ხაროდ, ფეხბურთში ასეც ხდება - ერ-თი გუნდი უკეთ თამაშობს, მაგრამ, სუ-ბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორთა წყალობით, მეორე გუნდი იმარჯვებს.

ამ შედეგის მიუხედავად, დიდ მადლო-ბას უფხი ჩემს ფეხბურთელებს, რომ-ლებმაც კაცურად იბძოლეს, მთელი 90 წუთის განმავლობაში არც ძალა და-ზოგეს, არც მონდომება დააკლეს, მაგ-რამ დამარცხდნენ. ადრე საქართველ-ის ნაკრების თამაშის ხარისხს იწუნებ-დნენ. გუშინ, წინა შეხვედრებთან შე-დარებით, გაცილებით უკეთ ვითამაშ-ეთ. მართალია, სასურველი შედეგიც ვერ მივიღეთ, მაგრამ, ალბათ, დამეთა-ნებდნენ - სწორ გზაზე გვადგავათ. თუ ასე გავაგრძელებთ, კარგი თამაში აუცილებლად გადაიხდება შესაბამის შედეგში" - ასეთი გახლბად ჟირესის პირველი ზოგადი შეფასება უკრაინის ნაკრებთან ნაგეყული მატჩის თაობა-ზე.

უფრო კონკრეტულად, ფრანგმა სპეციალისტმა ყურადღება გაამახვი-ლა მსაჯის შეცდომებსა და უიბდო-ბაზე, რომელიც მის ღუნდს მთელი მა-ტჩის განმავლობაში თან სდევდა.

"იმას არ ვამბობ, რომ მსაჯის არა-ობიექტურმა მოქმედებმა გადაწყე-ვები გააღწია იქონია მატჩის შედეგიც თუმცა, მთელ რიგ ეპიზოდებში არაბიჭ-რი რომ აშკარად მიეკრძებულად მსა-ჯობდა, ამას მტკიცება არ სჭირდება. ყოფილი ფეხბურთელი ვარ და ჩემს თავ-ზე ვაძიებდიცა, რა დიდი მწიფეწლო-ბა აქვს რეფერის კითხვანწყობას. როცა საფრანგეთის ნაკრებში ვიამა-შობდი, ჩვენი გუნდის ავტორიტეტის გამო მსაჯებზე ხშირად გვიჭერდნენ მხარს. ასეთ მომენტებს ყოველთვის ვგრძნობდი. გუშინ რამდენიმე ფაქტო-რმა განაპირობა უკრაინელების მიმ-ართ მსაჯის ლიოლადი დამოკიდებუ-ლება. ჯერ ერთი, უკრაინა მასპინძელი იყო, ამას გარდა, უკრაინა ევროპული საზოგნო ერთ-ერთი ყველაზე დიდი და



ალან ჟირესი ნაკრების თამაშით ემაყოფილია.

გავლენიანი ქვეყანაა, მით უმეტეს, სა-ქართველოსთან შედარებით. როდესაც არბიტრი ერთ გუნდს მხარს უჭერს, ეს გუნდი უფრო თამაზად თამაშობს. ამის საწინააღმდეგოდ, ჩემი ფეხბურთელე-ბი ასეთ ეპიზოდებში ნერვულოზდნენ, წონასწორობასთან ერთად კონცენზ-რაციას კარგადენენ და შეცდომებს უშ-ევებდნენ. ერთ ეპიზოდს გავისენებს: პი-რველ ტაიმში საკუთარი გუნდის თამა-შით აშკარად უკმაყოფილო ბლოხინი მოედანზე შევარდა და ბურთი დამოინს-ტრაციულად დაარტყა ფეხი. ეს რომ მე გამეკეთებინა, მასჯი უყოყმანოდ "და-მასაჩუქრებდა" ნთიელი ბარათით. ბლოხინს კი მხოლოდ შეშინება მისცეს.

ბედიც აშკარად არ გვწყალობდა. შოეკოესკის კართან რამდენიმე სახი-ფათო მომენტი შეეცმენით, მაგრამ და-მაგირგვინებულ ფაზაში ზუსტად ვე-ლად დავარტყით. შოეკოესკიმ ღმერის მადლობა უნდა შესწიროს იმისთვის, რომ ასათიანის დარტყმის შემდეგ მას ბურთი შემთხვევით მოხვდა ხელზე და გოლი არ გავიდა", - სინანულით აღნი-შნა ჩვენი ნაკრების თავაჯცმა.

ჟირესმა მის მიერ განხორციელებ-ულ შეცდლებზე და თავდასხმის ხაზში საკადრო პოლიტიკაზეც ისაუბრა.

"მეორე ტაიმში ბურდღლის გამოყ-ვანა შევანახის ტრავმით იყო გაპირო-ბებული. შეიძლება, მეგანანიათე-რის ტკივილგამაყუჩებელი ნემსი გავგე-კეთებინა და მას თამაში გავგრძელები-ნა, მაგრამ ეს სერიოზული რისკი იყო. ჩვენ კი შევანახე ძალიან გვეჭრდება და მის ჯანმრთელობას საფრთხე-ს ქვეშ ვერ დაეაყენებთ. დემეტრძაძე არ იყო ჯანმრთელად - თამაშამდე მას ტრავმა გაუმიზეზდა. ამიტომ, თამაშიმ მისი ჩართვა მხოლოდ ბოლო წუთებზე გადაწყვეტიტ. არ ვეთანხმები მოსაზ-

რებას, რომ ამ შეკრებაზე ცოტა თავ-დამსხმელი გამოვიძახე და ამის გამო თამაშის გასაძლიერებლად პატარა არ-ჩევანი მქონდა. უკრაინაში 4 თავდამს-ხმელი ნავიყვანეთ - არეველაყ, იაშვი-ლი, დემეტრძაძე და ჯაკობია. ვფიქრობ, ეს სრულად საკმარისი იყო. შეიძლე-ბა ვინმეს არ მოსწონს, რომ ამ ფეხბურ-თელებზე შევაჩერე არჩევანი. მე კი მი-მანჩია, რომ დღეს ქართველ თავდამს-ხმელთაგან სხვებზე უკეთ სწორედ ეს ფეხბურთელები აკმაყოფილებენ ერო-ვნული ნაკრების დონეს", - ამ თვალსა-ზრისით ჟურნალისტთა კრიტიკული დამოკიდებულება უსაფუძვლოდ მიიჩ-ნია ჟირესმა.

შუსიე ალენის აზრით, ბლოხინს სულაც არ აურჩევია ახასიური ტატცტა და თუ უკრაინის ნაკრები, ძირითადად, კონტრშტეტევაზე აგებდა თამაშს, ეს არა მწერთნელის ჩანაფიქრი, არამედ საქართველოს ნაკრების აქტიური თა-მამის ბრალი იყო.

"უკრაინის ნაკრები რომ ძირითად დროს დაცვაში ატარებდა, ეს მხოლოდ საქართველოს ნაკრების გამართული თამაშის და აქტიურობის დამსახურე-ბაა. სტატისტიკის მიხედვით, ბურთის ფლობის მანევრებული საქართველოს ნაკრებს 65 პროცენტი ჰქონდა, ანუ მე-ტოქეზე ორჯერ მეტხანს ბურთი ჩვენს გვექონდა. მესმის, რომ ეს მაჩვენებელი დღეს ბევრს არაფერს ნიშნავს. მთავა-რია ის პ ქულა, რომელიც მეტოქემ მიი-თვალა აქტებში. თუმცა, ჩვენ რომ შე-ვად ვითამაშეთ, ამას მატჩის შემდეგ ბლოხინის რეაქციაც ცხადყოფს. მან არათუ ვერ შეიკავა ემოცია, არამედ სი-ხარული ისეთი ტენტრუშით გამოხატა, რომ ევროპის ტელეკომპანიების ყურა-დღების ცენტრში მოექცა. ბლოხინის კომენტარიც მრავლისმთქმელია. მან

განაცხადა, რომ ამ გამარჯვების წყა-ლობით უზენდირესი კაცია, რომ საქე-რთველოს ნაკრები ბრწყინაულ გუნ-დია, რომ თავისუფლად შეიძლებოდა, მატჩი მათი სოლოღური გამარჯვებით დასრულებულიყო", - განაცხადა ფრან-გმა მწერთნელმა.

ჟირესის აზრით, მარცხის მიუხე-დავად, საქართველოს ნაკრებმა მისი ხელმძღვანელობით, ჯერჯერობით, საუკეთესო თამაში აწევნა.

"მარტიდან მოყოლებული, რაც სა-ქართველოს ნაკრები ჩავიბარე, თამაშ-ის ხარისხის მიხედვით საუუეთესო მა-ტჩი ჩავატარეთ. ჩემი გუნდის თამაში სულ უფრო უკეთესი ხდება და თუ ამ პროცესს შეუცვევადი ხასიათი მივეც-ით, მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვებაზე ფიქრიც რეალური იქნე-ბა", - ოპტიმიზმი არ ღალატობს ნაკრე-ბის თავკაცს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს მომდევნო მატჩი ერთ თვეში ექლის. 17 ნოემბერს თბილისში ვმასპინ-ძლობთ დანიის ნაკრებს, რომელმაც ორი დღის წინ კოპენჰაგენში ვერ შეძ-ლოთ თურქეთის ნაკრების დამარცხება. ის მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა, გამარ-ჯვების მეტი შანსი ჰქონდათ სტუმარ-ებს, რომლებმაც თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენეს. ახვე მატჩში ჩვენი ნა-კრებისთვის ორი სახვირო ფაქტი მოხ-და, მსაჯმა მოედნიდან გააძევა "ჩელს-ის" თავდამსხმელი, დანიელი იესპერ გრონკიავრი, ხოლო მიღანელ თომას ჰელდგეს ყვითელი ბარათი უჩვენა, რო-მელიც მიმდინარე შესაჩრჩევ ციკლში ჰელდგეისთვის მეორე გაფრთხილება აღმოჩნდა. შედეგად, დანიის ნაკრების ეს ორი საუკეთესო ფეხბურთელი თბი-ლისში ვერ ითამაშებს, რაც ჩვენი ნაკ-რების წარმატების შანსს ზრდის.

ოსტატობას რა ვუთხარი, თორემ...

კახაა ფარაშვილი

ოთხშაბათს საქართველოს ნაკრები ლეკვები უკრაინასთან შეხვედრდა. ჩვენს ბიჭებს მონდომება არ აკლდათ, მაგრამ საჯალალო ის არის, რომ საიმი-ნო ოსტატობა აშკარად არ ეყიოთ, თამა-შში გარდატეხა შეტეხანთ. ქართველ-ებს რამდენიმე ეპიზოდში გოლის გატა-ნა შეუძლეთ, მაგრამ ვერ მოახერხეს. გადაწყვეტიტ დარტყმა, თითქმის შელო-ცვილიაო, ყოველთვის ცუდად სრულ-დებოდა. აი, ანდრი შექერქემო და პრა-ქტიკულად ერთხელ დაარტყა კარში და გოლი გაიტანა.

სწორედ ეს განასხვავებს ანდრე შექერქემის დანარჩენი ფეხბურთელები-სა და, მათ შორის, საქართველოს ნაკ-რების წევრებისგან. სწორედ ამიტომ არის ის მსოფლიო დონის ვარსკვლავი. მისი სამშემსრულო ოსტატობა ქვეს არ ინვევს (ჩვენებს კი სწორედ ეს სამე-მსრულებელი ოსტატობა არ ეყიოთ ზუს-ტი, გადაწყვეტიტ დარტყმის შესასრუ-ლებლად), ამას კი ხშირად გადაწყვეტიტ მნიშვნელობა ენიჭება მატჩის მსვლე-ლობისას. განსაკუთრებით მაშინ, თუ თამაში თანაბანია. ასე იყო საბერძნეთ-თან შეხვედრაში, როცა შექერქემოს გო-ლმა უკრაინელებს ქულა შესძინა და ასე მოხდა საქართველოსთან მატჩში, როცა "შევაქ" თამაშს საბოლოო წერ-ტილი დაუსვა.

უკრაინაში, შეიძლება ითქვას, თა-ნაბარი თამაში მიმდინარეობდა. ამაზე ჰტატისტიკაც ნათლად მეტყველებს, მაგრამ გოლები, სამწუხაროდ, მხოლ-ოდ ჩვენს კარში გავიდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ უკრაინელი ფეხბურთელე-ბი ბურთთან ყოველ შეხებისას ცდი-ლობდნენ, სწრაფი გადაცემით მოექცე-ნათ თავისუფალი პარტიზორი და დასა-რტყმელ ნორეციაზე გაეყვანათ. საქარ-თველოს ნაკრები კი უპირატესობის იმ-იგაციას ქმნიდა. ბურთს ფლობდა, მაგ-რამ შეტევებს ძალიან აჭინარებდა და ამას საბოლოო ჯაშში ნეგატიური შე-დეგი მოჰყვა. ჩვენი ფეხბურთელები ვერ ახერხებდნენ დასარტყმელად ხელ-

ეყოფა თუ არა საქართველოს ნაკრებს იმის ოსტატობა, 17 ნოემბერს თბილის-ში დანიადამარცხოს? მით უფრო, რომ დანიელებს თურქებთან გაძევებული იესპერ გრონკიავრი და ტომას ჰელდგეი არ ეყოლებოდა (მან გაფრთხილება მიი-ღო და ქართველებთან მატჩს გამოტო-ვენბს). ჩვენებს კი დისკვალიფიკაციის შემდეგ მიღანელი კახა კალაძე დაუბ-რუნდება.

I ჯგუფი					
ანდორა - მაკედონია	1:0				
სლოვაქია - ჩეხეთი	0:3				
პოლანდია - ფინეთი	3:1				
რუმინეთი	4	3	0	1	9-4
ფინეთი	5	3	0	2	10-6
სლოანდია	3	2	1	0	7-3
ჩეხეთი	3	2	1	0	4-2
მაკედონია	4	1	2	6-5	4
ანდორა	3	1	0	2	2-8
სომხეთი	4	0	4	1-1	0

II ჯგუფი					
ყაზახეთი - ალბანეთი	0:1				
უკრაინა - საქართველო	2:0				
დანიია - თურქეთი	1:1				
უკრაინა	4	2	2	0	6-3
თურქეთი	4	1	3	0	6-2
ალბანეთი	3	2	2	3-5	6
დანიია	3	1	2	0	4-2
საქართველო	3	1	1	3-3	4
საბერძნეთი	3	0	2	1	2-3
ყაზახეთი	3	0	3	1-7	0

III ჯგუფი					
ლატვია - ესტონეთი	2:2				
ლუქსემბურგი - ლიხტენშტაინი	0:4				
პორტუგალია - რუსეთი	7:1				
სლოვაკეთი	4	3	1	0	15-3
პორტუგალია	4	3	1	0	15-3
ესტონეთი	4	2	1	8-7	7
რუსეთი	3	1	1	6-8	4
ლატვია	4	1	1	2	7-11
ლუქსემბურგი	5	0	5	4-19	0

IV ჯგუფი					
ირლანდია - ფარელები	2:0				

კვიპროსი - საფრანგეთი	0:2				
იტალია	4	2	2	0	6-1
საფრანგეთი	4	2	2	0	4-0
შვეიცარია	3	1	2	0	9-3
ისრაელი	3	1	2	0	4-3
კვიპროსი	4	0	1	33-9	1
ფარელები	4	0	1	3	2-12

V ჯგუფი					
ნორვეგია - სლოვენია	3:0				
მოლოდია - შოტლანდია	1:1				
იტალია - ბელორუსი	4:3				
იტალია	4	3	0	1	7-5
ნორვეგია	4	2	1	16	3-7
სლოვენია	4	2	1	1	4-3
ბელორუსი	3	1	1	1	8-5
შოტლანდია	3	0	2	1	1-2
მოლოდია	4	0	1	3	1-9

VI ჯგუფი					
აზერბაიჯანი - ინგლისი	0:1				
ჩრდ. ირლანდია - ავსტრია	3:3				
უელსი - პოლონეთი	2:3				
ინგლისი	4	3	1	0	7-3
პოლონეთი	4	3	0	1	10-5
ავსტრია	4	1	2	1	8-8
ჩრდ. ირლანდია	4	0	3	1	5-8
უელსი	4	0	2	2	5-8
აზერბაიჯანი	4	0	2	1	4-2

VII ჯგუფი							5:0
სერბეთი - სან მარინო							0:0
ლიტვა - ესპანეთი	3	2	1	0	8-0		7
სერბეთი	3	1	2	0	5-1		5
ლიტვა	3	1	2	0	3-1		5
ესპანეთი	2	0	0	1	1-2		1
ბოსნია	2	0	0	1	1-3		2
ბელგია	3	0	0	3	0-12		0
სან მარინო							

ფეხბურთი

გამორიღეთ მაცნივრიდან "კალგასი"!

ანდრო ნავერიანი

13 ოქტომბერს რუსული პრესა ფართოდ აშუქებდა უკრაინა-საქართველოსა და პორტუგალია-რუსეთის წინასამატჩო პერიმეტეიებს და აცხადებდა, რომ არა რუსეთის ნაკრების სტუმრობა პორტუგალიაში, უკრაინა-საქართველოს დაპირისპირება მათთვის აუცილებლად ცენტრალური შეხვედრა იქნებოდა. რუსული პრესა ასევე შეეხო საქართველოს ნაკრების ლირსებასა და ნაკლს, ქართველ ფეხბურთელებს დაუსვეს დიაგნოზი და ა.შ. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ რუსებმა საქართველოს ნაკრები ძალიან სუსტ და ჯერ კიდევ დაბალი დონის გუნდად შეაჩვენეს. თუმცა, არც ის დაეინყებიათ, რომ რუსეთი, უკრაინა და საქართველო პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე საფეხბურთო ქვეყნები იყვნენ. "ჩვენ მოუთმენლად ველით უკრაინა-საქართველოს მატჩს. ალბათ, ეს იქნება იმ ორი სკოლის პაექრობა, რომლებმაც თავის დროზე საბჭოთა ფეხბურთს დიდება მოუტანა", - წერდა გაზეთი "სპორტ-ექსპრესი". ბოლოს, ბევრი ილაპარაკეს თუ ცოტა, რუსეთის ნაკრები შეაქვს, ხოლო საქართველო დილტანტების გუნდად მოიხსენიეს.

ახლა, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგმა სათამაშო დღემ ჩაიარა და ნათლად გამოჩნდა, ვინ რისი მაქანისია, უკვე შეიძლება ანალიზის გაკეთება და დასკვნების გამოტანა.

საქართველოს ნაკრების თამაშზე აღარაფერს მოგახსენებთ - ისედაც ბევრი ითქვა და დაინერა პრესასა თუ ტელევიზიაში. მე მინდა გესაუბროთ რუსეთის ნაკრებზე, რომელსაც თანამემამულე პრესის წარმომადგენლებმა ხოტბა შესახეს და პორტუგალიაში მოსაგებად გაუშვეს. ოპტიმიზმიცაა და ოპტიმიზმიც, მაგრამ განა შეიძლე-



ბა, ასეთი დარწმუნებული იყო, რომ, თუ არ გაიმარჯვებ, ფრეს მაინც გააგორებ?! ასეთი აზრი ტრიალებდა რუსული ფეხბურთის კულუარებში, მაგრამ... ჰმ!.. ყველამ კარგად დაგინახეთ, რა ძალასაც წარმოადგენს რუსეთის ეროვნული გუნდი. პორტუგალიელებმა იმდენი ქნეს, რომ მატჩის შემდეგ რუს ფეხბურთელებს ეუბნებოდნენ: გამოიღეთ მაცივრიდან "კალბასი".

სასაცილო იქნება იმაზე საუბარი, თუ რატომ დამარცხდა რუსეთის ნაკრები, რა იყო ამის მიზეზი და რატომ ვერ ითამაშა დაცვის ხაზმა. კრიტიკანუ ორნალდუშ რუსებს თავბრუ დაახვია, ერთი ათი წუთიც და რუს მცველებს, ალბათ, გულისრევას დაანყებინებდა.

რასაკვირველია, რუსულმა

პრესამ "იზოვა" გამოსავალი და სამარცხენო მარცხი ფეხბურთელთა ტრავმებს დააბრალა. თუმცა, არის ისეთი წერილებიც, რომლებსა დაგინახეთ, რომ რუსებმა სამარცხენო მარცხი იწვნის. რუსი ჟურნალისტები რატომღაც თავისი გუნდის შეცდომებზე კი არა, მეტოქის შეცდომებზე საუბრობენ. მაგალითად, ერთ პუბლიკაციაში ასეთი წინადადება: "პორტუგალიალებს ამკარად ეტყობათ, რომ ბოლომდე არ არიან მზად. მათ კიდევ ბევრი ვარჯიში მოუწევთ იმისთვის, რომ მაღალი კლასის გუნდად ჩამოყალიბდნენ". იმის თქმას რა უნდა, რომ წააგეს, თანაც, სამარცხენოდ. ხომ შეიძლება, თქვა ეს სიტყვები და იქვე დაამატო: იმე-დია, ჩვენი ფეხბურთელები ამ შეც-

ფორმულა 1

სამეფო რბოლები ერთით გაიწაღა

ბიბა ბარსაშვილი

<i>ახლა ყველას შვებით შეუძლია ამოისუნთქოს და 2005 წლის სამეფო რბოლებს დაელოდოს. საუბარია ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატიდან რიგი ეტაპების ამოგდება-არამოგდებაზე. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე ყველა კითხვას პასუხი გაცემოდა, დიდი ბრიტანეთის, ევროპისა და გერმანიის "დიდი პრიზებს" ფორმულა 1-ის იმპრესარიო ბერნი ეკლსტონუნი აღმაცერად უყურებდა.</i>

ბევრს საუბრობდნენ იმაზე, თუ რამდენად მომგებიანი იქნებოდა ჩამოთვლილი "დიდი პრიზების" სამეფო რბოლებში დატოვება.

ამ მხრივ ყველაზე ცუდ დღეში "სილვერსტონუი" აღმოჩნდა. "დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის" ირგვლივ ატეხილ აუიოტაჟზე ადრე ვიუწყებოდი, ამიტომ დეტალების გახსენებისგან თავს შევიკავებთ.

დღეს უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ქარიშხალი მეტ-ნაკლებად ჩაცხრა. "სილვერსტონუი", ისევე როგორც "ევროპისა" და "გერმანიის დიდი პრიზები", 2005 წლის კალენდარში დარჩა. თუმცა, საგაისო კალენდარი ასპარეზობების ერთგვარი წინასწარი ფორმატია, მაგრამ, თუ ადრეულ გამოცდილებას გავითვალისწინებთ, ძხელი საფურებელია, მასში რამე შეიცვალოს.

